ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## „არ გვინდა, რომ თამარის უმანკო სული ლაფში იყოს გასვრილი“

ადვოკატის თქმით, თამარ ბაჩალიაშვილის საქმის გამოძიება ცუდად მიმდინარეობს



გვ.5

ოთხშაბათი, 29 ივლისი, 2020 №160 (8424) ფასი: 60 თეთრი

# გია ხუხაშვილი: „ოცნების“ მთავარი მოკავშირე ოპოზიციაა“



გვ.2

„თავში ავარდნამ ტლაპოში დაცემა იცის“

## ამერიკამ „ოცნება“ გააფრთხილა, არჩევნები არ უნდა გააყალბოს





გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „ამ ხელისუფლებამ ჩააფლავა სასამართლო სისტემის რეალური რეფორმირება“

## რითი ჰგავს შაქარაშვილის და გირგვლიანის საქმეები ერთმანეთს

ზაზა ხატიაშვილი: „ამ საქმეებში სახელმწიფომ თავისი ვალდებულება არ შეასრულა“



გვ.3

## გიგა ბუკია: „ნაციონალებთან ერთად შექმნილი ოპოზიციური ფრონტი სრული ბლეფი აღმოჩნდა“



გვ.4



გვ.2

## რატომ არის ნაციონალების კანდიდატი უფრო სუსტი, ვიდრე „ევროპული საქართველოსი“?

ხატია დეკანოიძე გიგა ბოკერიას პასუხობს



გვ.2

## თამარ ქავანიამ 2016-19 წლებში 654.936 ლარი მიიღო

აქედან 210.776 ლარი პრემია-დანამატის სახით

## სპეცოპერაცია ფონიჭალაში — დაკავებულია 9 ნარკომოვაჭრე



გვ.5

ISSN 1987-9385

4 გიორგი ვაშაძე: „პრემიერ-მინისტრი უნდა იჯდეს იუსტიციის სახლში“

2 წყნეთის გზაზე ლერი სულაბერიძის მანქანას ესროლეს

5 „ტიპი მირეკავს და შენი სახე დამანახეო, მეუბნება“

6 აშშ-ში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მასობრივი გამოცდა დაიწყო

# გია ხუხაშვილი: „ოცნების“ მთავარი მოკავშირე ოპოზიციაა“

## „თავში ავარდნამ ტლაპოში დაცემა იცის“

იაგო ნაცვლიშვილი

**ამერიკის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო გიორგი გახარიას ესაუბრა. მოგვიანებით მან „ტვიტერში“ დაწერა, რომ გიორგი გახარიასთან საქართველოში თავისუფალ, სამართლიან და გამჭვირვალე არჩევნებზე ისაუბრა. პომპეო აცხადებს, რომ ამერიკა ყოველთვის მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს რუსული ოკუპაციის წინაშე.**

ამის ფონზე საქართველოს პროკურატურამ ბადრი პატარკაციშვილის საქმის ერთ ეპიზოდთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, რაც უკავშირდება მასზე განხორციელებულ ზეწოლას და მკვლელობის მომზადებას. საუბარია 2006 წლის პერიოდზე.

რატომ გახდა საჭირო პომპეოს გზავნილები, რატომ გააცოცხლა პატარკაციშვილის საქმე ხელისუფლებამ წინასაარჩევნოდ და რა პრობლემებს ხედავს ოპოზიციაში? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.



***– პროკურატურამ ბადრი პატარკაციშვილის საქმის ერთ-ერთ ეპიზოდზე გაავრცელა განცხადება. ცოტა დაგვიანებული ხომ არ არის ამ საქმის გარკვევა, თანაც, როცა ეს ხდება წინასაარჩევნოდ და პოპულიზმის მცდელობა ხომ არ არის?***

– როგორც წესი, ეს არის წმინდა წყლის პოლიტიკური სპეკულაცია, რომელიც ტრადიციად იქცა, უფრო სწორად, მე ვიტყოდი, სამარცხვინო სპეკულაცია. როდესაც საქმე იდება თაროზე, მტვერი ედება და არჩევნების წინ ვიღაცა გადაწმენდს და, ასე რომ ვთქვათ, გამოძიების იმიტაციას ქმნის. ჩვენ ამას მიჩვეულები ვართ. ეს არ არის პირველი შემთხვევა და, რაც ყველაზე ცუდია, ეს არის უხარისხო საჭმელი და უნდათ, რომ მრავალჯერადად აჭამონ ამომრჩეველს. მორალისგან დაცლილია ჩვენთან თამაშის წესები. სამწუხაროა, რომ ამაში მართლმსაჯულების სისტემაც არის ჩარეული.

***– ვინ მოიფიქრებს ხოლმე ასეთ სცენარებს?***

– ამას რა მოფიქრება უნდა, ეს არ არის ახალი სცენარი. ეს არის სცენარი, რომელიც ჯერ კიდევ სააკაშვილის ხელისუფლების დროიდან მომდინარეობს. იგივე „შპარგალკებით“ მოქმედებენ ახლაც, ახალი რა მოიფიქრეს?!

***– ივანიშვილი პირადად არ არის ხოლმე ჩართული ამ პროცესებში?***

– ეს უკვე მატრიცაა. ივანიშვილი ამას აღარ სჭირდება, ეს არის მატრიცა და ერთადერთი, შუბლის ძარღვი უნდა გაიწყვიტო, რომ ამ პრინციპით იმოქმედო, მეტი არაფერი არ არის საჭირო.

***– ასეთი პოპულიზმი მორიგ ჯერზე იმუშავებს?***

– რა არის, იცით? არსებობს მოწყვლად ადამიანთა რაღაცა რაოდენობა, რომელზეც ასეთ რაღაცები ყოველთვის მუშაობს, თუმცა შემდეგ ჯერზე ასეთ ადამიანთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო მცირდება.

***– თუმცა, რეალურად გამოძიებაც არ არის რეზონანსული. რაღაცა პატარა ეპიზოდია.***

– უბრალოდ, ახლა სჭირდებათ ბადრი პატარკაციშვილის საქმის აქტუალიზაცია. არ არის გამორიცხული და სავარაუდოა, რომ ზურაბ ჟვანიაზეც დაიწყონ ლაპარაკი. კიდევ ერთხელ გაგვახსენებენ ამ საქმეს და მეტი არაფერი.

***– იმ ფონზე, რაც პომპეომ განაცხადა, როდესაც გახარიას ესაუბრა და შემდეგ „ტვიტერშიც“ დაწერა, ამის წინააღმდეგ ხომ არ არის ეს ქმედება მიმართული რეალურად?***

– არა. ეს ქმედება არის ძალიან მცირე დეტალი. ეს არ არის ყველაზე დიდი უბედურება. ეს არის მრავალჯერ აპრობირებული სპეკულაციური ქმედებების კიდევ ერთხელ გამეორება. ამას არ აქვს პირდაპირი კავშირი მართლმსაჯულების სისტემასთან არსებულ პრობლემებთან, თუმცა ირიბი კავშირი აქვს. ის, რომ გამოძიება, პროკურატურა და მართლმსაჯულება მოწყვლადია და პოლიტიკურ თამაშებში მონაწილეობს ამა თუ იმ ფორმით, ეს არის პრობლემატური, თუმცა პრობლემები ბევრად უფრო მძიმეა.

***– რატომ გახდა საჭირო პომპეოს ჩარევა? ვერ გაიგო ჩვენმა ხელისუფლებამ კონგრესმენების და სენატორების გზავნილები და სახელმწიფო მდივნის განცხადება გახდა საჭირო?***

– საქართველოს ხელისუფლება თავს იშტერებს და თითქოს ვერ ხვდება... ხან ამბობს, რომ 3 სენატორი იყო, ხან ამბობს, რომ 5 იყო... აქაც ათასი არგუმენტი მოეძებნებოდათ მანამდე. იყო განცხადებები, რომ ეს არ არის ხელისუფლების პოზიცია და კონგრესმენები არ არიან სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები და ა. შ. სულ ეს ტერმინები გვესმოდა მათგან. გადაწყვიტეს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმაც უთხრას ჩვენ ხელისუფლებას, რომ ეს არის ამერიკული პოლიტიკური ელიტის კონსოლიდირებული აზრი და რომ „ოცნების“ ვირეშმაკობას აზრი არ აქვს – იციან, რა ხდება მართლმსაჯულებაში თუ სხვა მიმართულებებით. არიან ადამიანები, ვისაც სანამ პირდაპირ არ ეტყვი, მანამდე თავს იშტერებს.

***– ახლა გაიგებენ?***

– გაგებით აქამდეც გაგებული ჰქონდათ.

***– გაითავისებენ?***

– სხვა საკითხია, რამდენად გაითავისებენ. გასაგებია, რომ ხელისუფლებას უნდა ძალაუფლების შენარჩუნება. თუ მათ ამ სურვილს რაიმე საფრთხე შეექმნა, არ ვარ დარწმუნებული, რომ ისინი კიდევ ერთხელ არ გადაკვეთენ წითელ ხაზებს, თუმცა ამას არ ვისურვებდი.

***– პომპეოს განცხადება ნიშნავს თუ არა იმას, რომ თუ სამართლიანი წესებით არ ჩატარდება არჩევნები, ეს იქნება მკაფიოდ წითელი ხაზის გადაკვეთა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან?***

– ეს ყოველთვის ასე იყო. საერთოდ, მცირე დარღვევებზე თვალს ხუჭავენ, მაგრამ დღეს ვითარება რადიკალურად შეიცვალა. დასავლეთში შეიქმნა განცდა, რომ საქართველოში მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემებია. შესაბამისად, ბევრად უფრო მკაცრი იქნება დასავლეთი თავის პოზიციებში და, შესაბამისად, ბევრად უფრო ხისტი იქნება კონტროლი.

მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლებისთვის სჯობს, რომ ცეცხლს არ ეთამაშოს, თუმცა ოპოზიციის შემყურე არ მგონია, რომ ხელისუფლებას რაიმე სჭირდებოდეს. იმიტომ, რომ ოპოზიცია კიდევ უფრო უარეს დღეშია. ასე რომ, შესაძლოა, ხელისუფლებას არც დასჭირდეს მაინცდამაინც დიდი ძალისხმევა და დიდი დარღვევები.

***– ოპოზიციასთან დაკავშირებით რას უსვამთ ხაზს?***

– ამ არჩევნებში „ქართული ოცნების“ მთავარი მოკავშირე მაინც ოპოზიციაა, ვიდრე სხვა რამე.

***– მთლიანად ოპოზიციას გულისხმობთ თუ ვინმე კონკრეტული გყავთ მხედველობაში?***

– ძირითადი ნაწილი. მოდით, ასე ვთქვათ. ყველაფერს აკეთებს ოპოზიცია იმისთვის, რომ ხელისუფლებამ შეინარჩუნოს ძალაუფლება. ყველაფერს უკუღმა აკეთებს ოპოზიცია ბოლო ორი თვის განმავლობაში.

***– რა გააკეთა ოპოზიციამ ასეთი?***

– კონკრეტულად ის, რომ ჯერ თვითონ არაფერი არ შეუძლია და დასავლეთის დახმარებითა და მისი ძალისხმევის შედეგად ოპოზიციამ რაღაცა შედეგი მიიღო საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, მაგრამ იმდენი ქნა, რომ ეს ლამის „ქართული ოცნების“ გამარჯვებად გამოაცხადეს.

***– როდესაც კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს?***

– დიახ. ბევრი სისულელე აკეთეს. მერე იყო აბსოლუტურად გაუგებარი, არაეთიკური და ბრიყვული შეტევა გერმანიის ელჩზე. ანუ, რასაც ჰქვია, თავში აუვარდათ. იფიქრეს, რომ დასავლეთის მხარდაჭერა უპირობოა და შეუძლიათ მათ მართონ დასავლეთი. კი არ იპარტნიორონ, მათ მართონ დასავლეთი და დასავლური განწყობები. თავში ავარდნამ გამოიწვია ტლაპოში ჩავარდნა. გარდა ამისა, არის შიდა პრობლემები და გაუგებარი ამბიციები.

***– მათ შორის, ურთიერთდაპირისპირებაც? თუნდაც განცხადებები იმაზე, რომ გიორგი ვაშაძე ვანო ჩხარტიშვილისგან ფინანსდება?***

– დიახ, ბევრი დეტალია. საერთო მოცემულობაა ასეთი, რომ ხელისუფლების მთავარი მოკავშირე არის ოპოზიცია.

# თამარ ჟვანიამ 2016-19 წლებში 654.936 ლარი მიიღო

## აქედან 210.776 ლარი პრემია-დანამატის სახით

„სამართლიანმა არჩევნებმა“ საარჩევნო ადმინისტრაციის ანაზღაურების მონიტორინგის ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიში 2016-დან 2019 წლამდე პერიოდს მოიცავს.

ანგარიშიდან ირკვევა, რომ ცესკოს თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ანაზღაურების სახით 654,936 ლარი მიიღო. აქედან 210.776 ლარი, თანამდებობრივი სარგოს თითქმის ნახევარი, ჟვანიას პრემია-დანამატების სახით აქვს მიღებული.

ცესკოს თავმჯდომარის ჯამური ანაზღაურება წლების მიხედვით განსხვავებულია.

მაგალითისთვის, 2016 წელს თამარ ჟვანიას წლიურმა ანაზღაურებამ 197,307 ლარი შეადგინა. აქედან ნახევარი (95.709 ლარი) ჟვანიას პრემია-დანამატების სახით აქვს მიღებული, რაც თანამდებობრივი სარგოს 95.2%-ია.

2018 წლის 1 იანვრიდან ჟვანიას თანამდებობრივი სარგო დარიცხული 5.500 ლარიდან 8.500 ლარამდე გაიზარდა (54,5%-იანი ზრდა). 2018 წელს ცესკოს თავმჯდომარის ჯამურმა ანაზღაურებამ 170.438 ლარი შეადგინა. ამ წელს ჟვანიას მიერ მიღებულმა დანამატმა და ჯილდომ ჯამურად თანამდებობრივი სარგოს 21.9% შეადგინა (დანამატი – 14.6%, ჯილდო – 7.3%).



ანგარიშიდან ირკვევა, რომ ცესკოს თავმჯდომარემ არაერთ თვეში მიიღო ერთდროულად დანამატიცა და პრემიაც, რაც „სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით არასწორი პრაქტიკაა.

„2016-2017 წლებში ფიქსირდება ერთეული შემთხვევები, როდესაც მოხდა დანამატისა და პრემიის ერთდროული გაცემა არასაარჩევნო თვეს. რაც შეეხება საარჩევნო თვეებს, თანამდებობის პირებისთვის დანამატი და პრემია ერთდროულად გაიცა 2016 წლის აგვისტოს თვეში და ცესკოს წევრებისთვის ნოემბრის თვეში, ხოლო 2017 წლის სექტემბერში ასევე მხოლოდ ცესკოს წევრებისთვის.

მსგავსი ფაქტები უარყოფით პრაქტიკას წარმოადგენს, ვინაიდან გაუგებარია, რა გამორჩეულ საქმიანობას ასრულებს პირი, რომ ორივეს გაცემის მოთხოვნას აკმაყოფილებს, განსაკუთრებით არასაარჩევნო პერიოდში“ – წერია ანგარიშში.

„სამართლიანი არჩევნების“ რეკომენდაციით, „საარჩევნო პერიოდში მიღებული გაორმაგებული თანამდებობრივი სარგოს პარალელურად არ უნდა გაიცეს დანამატი, სასურველია განისაზღვროს დანამატის გაცემის პერიოდულობა და უნდა განისაზღვროს თანამდებობრივი სარგოს მატების პროცენტულობა და პერიოდულობა როგორც კომისიის წევრებისათვის, ასევე თანამშრომლებისათვის“.

# რატომ არის ნაციონალების კანდიდატი უფრო სუსტი, ვიდრე „ევროპული საქართველოსი“?

## ხატია დეკანოიძე გიგა ბოკერიას პასუხობს

რეგიონებში მაჟორიტარ კანდიდატებზე შეთანხმებასთან დაკავშირებით „ევროპულ საქართველოში“ გაკეთებულ განცხადებას ნაციონალურ მოძრაობაში პასუხობენ.

ხატია დეკანოიძის თქმით, მისთვის გაუგებარია, რატომ თვლის „ევროპული საქართველო“, რომ მათი კანდიდატი ენმ-ს კანდიდატზე ძლიერია:



– მესამე ბრიფინგიც რომ ჩაატარონ ჩემმა ძვირფასმა და პატივცემულმა კოლეგებმა, იგივე პასუხს გავცემთ, რაც გუშინ გავეცით, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ამ პარტიულ ნომენკლატურას და რაღაც გადანაწილებაზე საუბარს, ვისაუბროთ მართლაც ძალიან მძიმე მდგომარეობაზე, რომელიც არის საქართველოში, მაგრამ ერთ რამეს ვიტყვი, რომ იმ ჩამოთვლილი ოლქებიდან, რომლებიც ჩამოთვალა გიგა ბოკერიამ, ნაციონალურ მოძრაობას ყველა ოლქში აქვს ძალიან ძლიერი პოზიციები.

ერთ კონკრეტულ ფაქტს გეტყვით, მაგალითად, აბაშა-მარტვილი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ ნაციონალურ მოძრაობას აქვს 24.168 ხმა, ხოლო „ევროპულ საქართველოს“ 5.500 ხმა და ჩვენ ამ ოლქში მოვუგეთ მათ შორის „ქართულ ოცნებას“ და ასეა ყველა ოლქში, ამიტომ მე მაინტერესებს, რატომ არის ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი უფრო სუსტი, ვიდრე „ევროპული საქართველოსი“?



კინკლაობას არ დავარქმევდი, უფრო სწორად, ეს გადაძახილ-გადმოძახილი ცოტა უხერხულია ჩვენი თანამოქალაქეების თვალში. ჩვენი პრინციპია, რომ მოვუგოთ და დავამარცხოთ ბიძინა ივანიშვილი და ამისთვის გავაკეთოთ ყველაფერი, – განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

ნაციონალური მოძრაობა რეგიონებში, 22-ვე ოლქში საკუთარი კანდიდატის დაყენებას გეგმავს, ამის პარალელურად „ევროპული საქართველო“ მაჟორიტარების შეთანხმების დანარჩენ მონაწილეებს მოუწოდებს, რომ კონსულტაციები გაგრძელდეს და საერთო მაჟორიტარებზე შეთანხმდნენ.

„ევროპული საქართველოს“ ლიდერის გიგა ბოკერიას განცხადებით, ნაციონალურ მოძრაობასთან ოპოზიციას ორი კონკრეტული შეთავაზება ჰქონდა, რომლებიც სხვადასხვა ოლქების ერთმანეთისთვის დათმობას ითვალისწინებდა.

# წყნეთის გზაზე ლერი სულაბერიძის მანქანას ესროლეს

გუშინ, 28 ივლისს, საღამოს, წყნეთის გზაზე, კაკლებთან „ვერის საძმოს“ ყოფილი წევრის, ლერი სულაბერიძის ავტომანქანას ესროლეს.




ინციდენტის შედეგად ლერი სულაბერიძე არ დაშავებულა, ნატყვიარები მხოლოდ ავტომანქანაზე შეინიშნება.

ლერი სულაბერიძეს ცეცხლი ავტომანქანიდან უცნობმა პირებმა გაუხსნეს. მანქანას 5 ტყვია აქვს მოხვედრილი, თავად სულაბერიძე პოლიციაში გამოკითხვაზე გადაიყვანეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეიარაღებულ თავდასხმაზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ორი, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა ტარებასა და მკვლელობის მცდელობის მუხლით დაიწყო.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ამერიკამ „ოცნება“ გააფრთხილა, არჩევნები არ უნდა გააყალბოს

## თორნიკე შარაშენიძე: „ამ ხელისუფლებამ ჩააფლავა სასამართლო სისტემის რეალური რეფორმირება“

ნათია ხურცილავა

**საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამერიკის სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეუს გზავნილებზე საუბრობს.**

***— ბატონო თორნიკე, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გახმოვანებული ინფორმაციით, სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეუ პრემიერ გახარიას ოქტომბერში სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარების აუცილებლობაზე ესაუბრა. მაინც რა გზავნილად შეიძლება აღვიქვათ ეს ზარი?***

— ყოველი არჩევნების წინ, არის ასეთი ზარი და მოწოდება, რომ არჩევნები უნდა ჩავატაროთ კარგად, სამართლიან და თავისუფალ გარემოში. ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ყველა ხელისუფლება ისმენდა ამ მოწოდებას. რამდენად ითვალისწინებდნენ, ეს სხვა საკითხია.

***— თუ მმართველ პარტიას ხელი წაუცდა, ამომრჩევლის ნებაზე იძალადოს, მაშინ?***

— იმედი მაქვს, ეს არ მოხდება, რადგან ამომრჩევლის ნებაზე ძალადობა როგორ სრულდება, ეს ჩვენ ვნახეთ.





***— თუმცა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას გაუჭირდა ბევრი დადებული პირობის შესრულება, სანამ უფრო მკაცრად არ დაისვა საკითხი.***

— დიახ, ასეა. ჩვენ ვნახეთ ხელისუფლების მიდგომა: ერთია, რას იტყვის ამერიკის კონგრესი და მეორეა, რას იტყვის აღმასრულებელი ხელისუფლება, მთავრობა. იმედი ვიქონიოთ, აღმასრულებელ ხელისუფლებას დაუჯერებენ.

***— თუმცა, რურუა დღემდე არ არის განთავისუფლებული.***

— რაც შეეხება ამ საკითხს, როგორც ჩანს, მაინც ინტერპრეტაციის საგანია.

***— არც ისე დიდი ხნის წინ, ამერიკის ელჩი კელი დეგნანი პროკურატურაში მივიდა და მთავარ პროკურორთან ჰქონდა შეხვედრა. ეს ვიზიტიც უკავშირდებოდა არჩევნებს და სასამართლო სისტემას. რატომ ასეთი ხაზგასმა სასამართლო სისტემაზე?***

— სასამართლო სისტემა ნებისმიერი დემოკრატიის ბაზისია. ამიტომ, რაც არ უნდა იძახო ამერიკის მოკავშირე ვარ და ამ დროს დემოკრატიის ინსტიტუტები, მაგალითად, სასამართლო არ გივარგა, მაშინ ეს ყველაფერი მითია. სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებამ ჩააფლავა ის შანსი, რომელიც ჰქონდა სასამართლო სისტემის რეალური რეფორმირების კუთხით. ერთი ერთში დარჩა ის, რაც იყო წინა ხელისუფლების დროს. შეიძლება ოდნავ უკეთ არის საქმე იმ შემთხვევაში, სადაც პოლიტიკური მდგენელი არ არის, მაგრამ ეს დიდი პროგრესი არ არის.

***— ისევ ზარს რომ დავუბრუნდეთ, ხელისუფლებამ ძალიან მნიშვნელოვან ზარად, ერთგვარ გაფრთხილებად უნდა აღიქვას თუ არა?***

— ერთი მხრივ, ეს არის გაფრთხილება და მეორე მხრივ, ეს არის მხარდაჭერა. — ნუ გეშინიათ, ჩვენ თქვენთან ვართ! — ეს



გზავნილიც არის. მოდი ასე ვთქვათ, ყველაფერი დამოკიდებულია, რას იზამს „ქართული ოცნება“. წესით, იქიდან გამომდინარე, რომ მათ ამ ეტაპზე არჩევნების მოგების შანსი აქვთ, არჩევნების გაყალბებას არ უნდა შეეცადონ. თუმცა, რას გაიგებ, როგორც იტყვიან: კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

***— ჩვენ ვნახეთ, რომ ძალიან გაუჭირდათ შერეული საარჩევნო სისტემის დათმობა, ბოლო წუთამდე იცავდნენ. თუ რეალურ არჩევნებში დაინახეს, რომ მყარი პოზიციები არ აქვთ?***

— მაშინ, სამწუხაროდ, არ გამოვრიცხავ, ეს მოხდეს და, რასაკვირველია, ეს იქნება ძალიან რთული ქვეყნისთვის. მერე, უკვე არაფერი არ არის გამორიცხული, რასაკვირველია, ცუდს ვგულისხმობ. ამერიკის მხრიდან მხარდაჭერის დაკარგვა, რეალურად ნიშნავს ქვეყნის შერყევას.

***— მით უფრო სენატორების მხრიდან მკაფიო გზავნილების ფონზე?***

— დიახ, რა თქმა უნდა. თუმცა, საკანონმდებლო ხელისუფლებას შეიძლება ყოველთვის მოუძებნო რაღაც გამართლება, მაგალითად, როგორც იყო „ფრონტერას“ შემთხვევაში, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სახელმწიფო მდივანზე, რომელიც უშუალოდ მოგმართავს. ეს უკვე სხვა საკითხია. საბოლოო ჯამში, „ფრონტერასთან“ მიმართებით სწორად მოიქცნენ.

***— თუმცა, ანაკლიის საკითხი დღემდე გაყინულია.***

— როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ამერიკამ ვერ მოიცალა, რომ ფული ჩადოს ანაკლიის პროექტში.

***— იმდენად ულირს, რომ ჩადებს?***

— იმედი ვიქონიოთ, რომ ჩადებს. ჩვენ ამის ფული არ გვაქვს. თუ ამერიკიდან ფული წამოვა, არ მგონია, ვინმემ გაბედოს და ამ პროექტზე უარი თქვას.

***— ოპოზიცია აცხადებს, რომ ამერიკასთან სტრატეგიულ ურთიერთობას წინ ოლიგარქიული პოლიტიკური რეჟიმი ეღობება. მართლაც შეიძლება ოლიგარქიული მმართველობა არ უნდოდეს ამერიკას?***

— 2012 წელს ივანიშვილი ხელისუფლებაში სწორედ ამერიკის მხარდაჭერით მოვიდა და ახლა გაახსენდათ ვიღაც-ვიღაცებს ოლიგარქია?! ასე მარტივადაც არ არის საქმე. იმედი მაქვს, მაინც იქამდე არ მივა საქმე, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ამერიკის მხარდაჭერა დაკარგოს. ივანიშვილი პრაგმატული ადამიანია და ძალიან კარგად ხვდება, რომ ერთი ერთზე რუსეთთან დარჩენა კატასტროფას უქადის. რუსეთთან პირისპირ რომ არ დარჩე, ამისთვის არ უნდა დაკარგოს ამერიკის მხარდაჭერა. მართალი გითხრათ, პირველ რიგში პრაგმატიზმის იმედი მაქვს. ფასეულობების შეიძლება ნაკლებად მჯერა, მაგრამ პრაგმატიზმის მჯერა.

***— ჩემი ბოლო კითხვა არჩევნებს ეხება. დღევანდელი გადასახედიდან ვინ უფრო მყარად გამოიყურება?***

— დავიწყოთ იმით, რომ არჩევნებამდე მაინც შორია და შეიძლება ყველაფერი რადიკალურად შეიცვალოს. თუმცა, დღევანდელი მოცემულობით „რედისონ რისერჩის“ ბოლო კვლევებით ჩანს, ხელისუფლებას სერიოზული უპირატესობა აქვს. ოპოზიცია კი დაქსაქსულია. ადმინისტრაციულ რესურსს, რომელიც ხელისუფლების ხელშია, ივანიშვილის კაპიტალიც ემატება. ეს სერიოზულ უპირატესობას ქმნის.

***— ღიად გამოიყენებს ამ რესურსს?***

— რაღაც დონეზე თვალს დახუჭავენ, ვნახოთ, რა დონეზე.

# რითი ჰგავს შაქარაშვილის და გირგვლიანის საქმეები ერთმანეთს

## ზაზა ხატიაშვილი: „ამ საქმეებში სახელმწიფომ თავისი ვალდებულება არ შეასრულა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი, ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი პასუხობს.**

***— ბატონო ზაზა, როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ ვითარებას?***

— მე, როცა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ვიყავი, მაშინ ვამბობდი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ისეთი სისულელეები დაიწყო საგამოძიებო ორგანოებში, რომ ეს ძალიან ძვირად დაუჯდებოდა, რადგან ქვეყანაში იქნებოდა სრული კატასტროფა ეფექტურ გამოძიებასთან მიმართებაში. რასაც ვამბობდი, ზუსტად ისეა.

***— რატომ, რა შეეშალათ?***

— ის, რომ 18-19 წლის ბავშვების, არა იურისტების და არა უმაღლეს დამთავრებული ბავშვების დანიშვნა დაიწყეს ინსპექტორ-გამომძიებლებად. 6-თვიან კურსებს უტარებდნენ ამ ბავშვებს და ინსპექტორ-გამომძიებლად ნიშნავდნენ. სწორედ ამან მოიტანა გამოძიების დონის დაქვეითება.

მაშინ ივანიშვილი თავისი ფეოდალური რეჟიმით დამცინოდა. მე როცა ვიბრძოდი, მაშინ ქვეყანამ არ დამიჭირა მხარი. მარტო ვიყავი. სულ ვამბობდი, რომ შეიქმნას ერთიანი საგამოძიებო ფედერალური ბიურო, როგორიც არის ამერიკაში. იქნებოდა ერთიანი საგამოძიებო ორგანო, რომლის ხელმძღვანელსაც ავირჩევდით, სადაც მოხვდებოდნენ გამოცდა ჩაბარებული კვალიფიციური იურისტები.

***— დღეს ძალიან დაბალი დონეა საგამოძიებო უწყებებში, პროკურატურაში?***

— ძალიან დაბალი. დღეს გამოდის გახარია და ამბობს, ჩვენ რეფორმირება გვჭირდებაო. შე დალოცვილო, შს მინისტრი რომ იყავი და 18-19 წლის ინპექტორ-გამომძიებლები გყავდა, მაშინ სად იყავი?! არ იცოდნენ, ეს შედეგი რომ დადგებოდა?! დამნაშავე არის ივანიშვილის რეჟიმი, რომელმაც ჩამოშალა ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუტები. მითხარით ნორმალური ქვეყანა, სადაც არაფორმალური მმართველის კბილის ექიმი იქნება ჯანდაცვის მინისტრი. ერთი პირადი მცველი შინაგან საქმეთა მინისტრი იქნება, მეორე პირადი მცველი — სახელმწიფო დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი.

***— ეს ყველაფერი რა კავშირშია კრიმინალის ზრდასთან? არაპროფესიონალიზმია აქ მთავარი?***

— პირადი მცველის ფსიქოლოგიური პორტრეტი არის თავისი მეპატრონის დაცვა. რა ინსტიტუციური რეფორმები უნდა გაატარონ, ან რა ეფექტური გამოძიება უნდა აწარმოონ?! რა რეფორმები უნდა გაატაროს გომელაურმა?! ხეგლეჯია ივანიშვილმა რა იცის, რა რეფორმები უნდა გატარებულიყო?!

ავიღოთ შაქარაშვილის საქმე და განვიხილოთ იგი გირგვლიანის საქმესთან კონტექსტში.

***— რატომ ავლებთ პარალელს?***

— გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ, კონვენციის მეორე მუხლი ნახეთ, რას გვეუბნება. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე.

***— რა შუაშია შაქარაშვილის მკვლელობასთან სახელმწიფო?***

— ავხსნი დეტალურად და მიხვდება ჩვენი მკითხველი, რომ ივანიშვილის რეჟიმია დამნაშავე! კონვენციის მეორე მუხლი გვეუბნება, რომ ადამიანის სიცოცხლე არის ყველზე დიდი ფასეულობა და სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე. ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ ყველანაირი პრევენციული ზომა უნდა გაატაროს, რომ ადამიანის სიცოცხლე იყოს დაცული.

სანამ შაქარაშვილი გარდაიცვლებოდა, ის ჯერ კიდევ ცოცხალია და ფოტოგრაფი რეკავს 112-ში, სადაც ის ამბობს, რომ ჩქარა, თავს დაგვესხნენ, მოგვეშველეთ და გვიშველეთ. საპატრულო ეკიპაჟი, რომელიც დროულად უნდა მისულიყო შემთხვევის ადგილზე, წარმოადგენს სახელმწიფოს. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების განმახორციელებელია პოლიცია. ის რომ არ ახორციელებს პოზიტიურ ვალდებულებას, ირღვევა კონვენციის მეორე მუხლი, ანუ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის უფლება.

ამ საქმეში რაც ვერ გამოსწორდება, არის ის, რომ შაქარაშვილის სიკვდილი დადგა იმიტომ, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება და არ ჩაატარა ეფექტური გამოძიება!

***— გირგვლიანთანაც იგივე მოხდა?***

— გირგვლიანის საქმეშიც ეს იყო და ამ საქმეშიც ეს არის. ივანიშვილის რეჟიმმა კონვენციის მეორე მუხლი დაარღვია! სწორედ ამიტომ ვავლებ პარალელს.

ის, რომ სააკაშვილის რეჟიმმა ჩაიდინა გირგვლიანის მკვლელობა, სტრასბურის გადაწყვეტილებითაც გამოჩნდა. გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ მარტო სააკაშვილის რეჟიმს არ ეხება, ეს ეხება ყველა მთავრობას, რომელიც ვალდებულია, რომ დაიცვას ადამიანის სიცოცხლე.

ამ შემთხვევაში ივანიშვილის რეჟიმმა ჩაიდინა სიცოცხლის უფლების ხელყოფა, არ დაიცვა ადამიანის სიცოცხლე და ჩვენ მივიღეთ გარდაცვლილი ადამიანი. ესენი რომ გამოდიან, ბიძინას ტაშისმკვრელები და გაიძახიან, გირგვლიანი სახელმწიფომ მოკლაო, ეგ უკვე მეორეა, არაეფექტური გამოძიება, მაგრამ პირველი, რაც გირგვლიანის საქმეშიც დარღვეულია და აქაც, არის სახელმწიფოს მხრიდან სიცოცხლის უფლების დაცვა!

***— ანუ იკვეთება ხელისუფლების პასუხისმგებლობა?***

— ამიტომ ივანიშვილის რეჟიმი ამას ვერ გაექცევა! გამოდის შს მინისტრის მოადგილე და აცხადებს, პატრულ-ინსპექტორების ქმედებაზე მოკვლევა დავიწყეთო. ეგეთი უტვინობა სადმე გაგიგიათ?! კაცი მინისტრის მოადგილეა და არ იცის, რომ მოკვლევა 2010 წელში გაუქმდა და 2020 წელს შს მინისტრის მოადგილემ არ იცის, რომ მოკვლევა აღარ ტარდება! მეკითხებით, რამ გამოიწვია კრიმინალის ზრდაო და შს მინისტრის მოადგილემ არ იცის, რომ 2010 წელში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცვალა, განხორციელდა რეფორმა და მოკვლევა გაუქმდა.

ჯერ ერთი, გამოძიება უნდა აწარმოოს პროკურატურამ, შსს-ს ვინ ეკითხება? აი, ეს არის მეორე დანაშაული ივანიშვილის რეჟიმის მხრიდან, რომელსაც ვერ გამოასწორებს. აი, ეს არის არაეფექტური გამოძიება. სახელმწიფო ინსტიტუტები ჩამოშლილია და გაიზრდება კრიმინალი, აბა რა იქნება?! მე რომ ფიზიკის მასწავლებლად დამნიშნონ, ვასწავლი ფიზიკას?! ადამიანები ინიშნებიან ისეთ თანამდებობაზე, რომელსაც 1%-ითაც კი არ შეეფერებიან. მათი ძირითადი ფუნქციაა, დაიცვან ფეოდალი. აქედან გამომდინარე, კრიმინალიც გაიზრდება, ეკონომიკაც ჩამოიქცევა, კორუფციაც გაიზრდება.

***— თამარ ბაჩალიაშვილის საქმეზე რას იტყვით?***

— ამ საქმესთან მიმართებაშიც კატასტროფულად არის დარღვეული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება სიცოცხლის დაცვაზე. იმიტომ, რომ ეს მანქანა, სადაც ის აღმოჩენილი იყო, იმ ადგილას წინა დღეებში არ იყო. ეს არის ამ საქმეში ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი. სწორედ შაქარაშვილის საქმემ აჩვენა, რომ სახელმწიფო არ ასრულებს თავის პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე.



***— შაქარაშვილის საქმე რომ წავიდეს სტრასბურში, ხელისუფლება წააგებს?***

— უკვე წაგებული აქვს! სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა დარღვეული. მე მივმართე კიდეც ადვოკატებს, მოითხოვეთ-მეთქი პატრულ-ინსპექტორების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება, პროკურატურა უარს გეტყვით, გაასაჩივრებთ სტრასბურში და სანამ ამ საქმეზე რაიმე შედეგი დადგება, თქვენ სტრასბურში მოიგებთ— მეთქი.

ეს საქმე უკვე სტრასბურში უნდა ყოფილიყო წესით. მოთხოვნაც არ იყო საჭირო, სახელმწიფო ვალდებული იყო, ეს პატრულ-ინსპექტორები ისე დაეკავებინა. რატომ არ არიან დაკავებულები?! როდესაც იქ პატრული მივიდა, უკვე დაგვიანებით, ფოტოგრაფი წამოიყვანა და არაფერი არ გაარკვია, ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია. სახელმწიფო კი არ სჯის მათ!

***— ოქტომბერში რა მოხდება?***

— „ოცნებას“ უნდა აწყობდეს, რომ ოქტომბერში არჩევნები წააგოს და მშვიდად წავიდეს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე



შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# გიგა ბუკია: „ნაციონალებთან ერთად შექმნილი ოპოზიციური ფრონტი სრული ბლეფი აღმოჩნდა“

## „კრიმინალის ზრდაზე აგრესიის მატებაც მოქმედებს. ამაში ყველანი ვართ დამნაშავე“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის დამოუკიდებელ დეპუტატს, კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, გიგა ბუკიას.**

***— ხელისუფლების ოპონენტები დარწმუნებული არიან, რომ შაქარაშვილისა და ბაჩალიაშვილის საქმეები ამ ხელისუფლებას გადაიყოლებს. თქვენ როგორ აფასებთ ამ მოვლენას?***

— ვისარგებლებ ინტერვიუთი და სამძიმარს გამოვუცხადებ დაღუპულთა ოჯახებს, მათ ახლობლებს. კარგი იქნებოდა, ხდებოდეს ასეთი კრიმინალის პრევენცია და სწრაფად გამოძიება. ეს არის ჩვეულებრივი მოთხოვნები. ეს მძიმე შემთხვევებია. ასევე მძიმე იმის ყურება, თუ როგორ ექცევიან გარდაცვლილების ოჯახებს. მათ უწევთ მოწოდებების გაკეთება სატელევიზიო მედიისადმი. მართლაც, უცნაურია, როცა ჯერ ადამიანი დასაფლავებულიც არ არის, ტელევიზიებში კი ათასნაირი ჭორ-მართალი, ვერსია და მითქმა-მოთქმაა ამ ამბებზე. არაადამიანურია, როცა პირდაპირ ეთერში ეუბნები ადამიანს, ქალიშვილი დაგეღუპაო და ამ საქმეში გამომძიებელივით ერევი. პროცედურებს თავისი ვადები აქვს. ექსპერტიზა დროს მოითხოვს. საკითხის გაშუქების წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. დემოკრატიულ სახელმწიფოებში, მაგალითად, გერმანიაში, არ შეიძლება ასეთი თემების გაშუქება მანამდე, სანამ სრულად არ დამთავრდება გამოძიება და სასამართლო არ გამოიტანს განაჩენს. თუ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ დარჩა კითხვები და რაღაც ისე ვერ არის, მაშინ კი მედია კრიტიკის ქარცეცხლს დაატეხს შესაბამის ორგანოებს. თქვენ გაზეთთანაც მისაუბრია იმაზე, რომ ძალიან აგრესიული ფონია ქვეყანაში.

***— გინდათ თქვათ, რომ ბოლო დროსაც აგრესიული ფონი გამოიკვეთა?***

— დიდი ხანია, ჩვენ აგრესიულ გარემოში ვცხოვრობთ. ეს მხოლოდ ხელისუფლების ბრალი არ არის. მესმის, რომ არჩევნებია, მიმდინარეობს პოლიტიკური პროცესი, მაგრამ არ შეიძლება ასეთი ფაქტების გამოყენებით დაძაბულობის კიდევ უფრო გაზრდა. ხელისუფლებები მოდიან და მიდიან, ჩვენ, საზოგადოებამ,კი უნდა გავაგრძელოთ ცხოვრება ამ ქვეყანაში. ჩვენი შვილები ნორმალურ გარემოში უნდა გაიზარდონ. ჩვენ მათ ფსიქიკა არ უნდა შევუურყიოთ.

***— კრიმინალის მატება აშკარაა?***

— საქართველო შეყვანილია უსაფრთხო ქვეყნების სიაში. დანაშაული არ იმალება. აღრიცხვიანობა მოწესრიგებულია. ეტყობა, კორონავირუსმა თავისი შედეგი გამოიღო. აგრესია ისედაც იყო, ამის შემდეგ კი უფრო მოიმატა. არასწორი ფონის არსებობა მთელი საზოგადოების ბრალია. ამიტომ, სანამ ვინმე ვინმეს ბრალს წაუყენებს, იქნებ, დაფიქრდეს, თვითონ რა აქვს გაკეთებული! ჩვენ ყველანი ვმონაწილეობთ იმაში, რომ ახალგაზრდები ასეთ გარემოში იზრდებოდნენ.

***— არჩევნებს შევეხოთ. გიორგი ვაშაძემ და თაკო ჩარკვიანმა დატოვეს გაერთიანება „ძალა ერთობაშია“. ამან გამოიწვია პოლიტიკოსების კომენტარები, ასევე, საზოგადოების ინტერესი.***

— ეს ჩვეულებრივი საარჩევნო და პოლიტიკური პროცესია. ალბათ, ეს ძალები გეგმებზე, რაღაც საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ და იმიტომ დატოვეს გაერთიანება. ახლანდელი ბარიერი იძლევა საშუალებას, რომ პარტიები უფრო ოპტიმისტურად მიუდგნენ არჩევნებში დიდი ბლოკის გარეშე მონაწილეობას. ნაციონალების აგრესია



ამაზე გასაკვირი არ არის. შესაძლოა, გიორგი ვაშაძე ყოფილი თანამოაზრეებისაგან უფრო კორექტულ დამოკიდებულებას ელოდა.

***— ნაციონალების გამოხმაურება რატომ არ არის გასაკვირი?***

— იმიტომ, რომ ნაციონალურ მოძრაობას, რეალურად, პროპორციული და პროპორციულთან მიახლოებული სისტემა არ უნდა. პარტია ამას არ აღიარებდა, მაგრამ სააკაშვილმა ეს ადრე ღიად თქვა. ხომ ხედავთ, ნაციონალებმა არ მიიღეს მონაწილეობა იმ საკითხის კენჭისყრაში, რომლის გამოც ქუჩაში გამოდიოდნენ! გიორგი ვაშაძის გამოსვლაც ეწყინებოდათ. მათ ერჩივნათ, ყოფილიყო ძველი სისტემა 73 მაჟორიტარით, მაღალი ბარიერით და სხვა პარტიები მათზე ყოფილიყვნენ ჩამოკიდებული.

***— შეიძლება ითქვას, რომ ორპოლუსიანობა მთავრდება?***

— რასაკვირველია. ამ საარჩევნო ცვლილებებით, რომლებსაც ჩვენ, კონსერვატორებმა, მხარი დავუჭირეთ, იწყება პოლიტიკური ველის დივერსიფიკაცია. ამომრჩეველს აქვს არჩევანი. მას უჩნდება იმედი, რომ პარლამენტში მის ინტერესებს წარმოადგენს ადამიანების ჯგუფი. სააკაშვილზე რომ იძახდნენ, მგელი მოდის, მგელი მოდისო, აღარ გაჭრის. ჩვენ აღარ ვიქნებით ოცნებისა და ნაცმოძრაობის დაპირისპირების მაყურებლები. როცა პროპორციული სისტემა ჩავარდა, ჩვენ უმრავლესობა დავტოვეთ. თუმცა, ახლანდელი სისტემა თითქმის უტოლდება 5%-იანი ბარიერის მქონე სრულად პროპორციულ სისტემას.

***— მაჟორიტარების კანდიდატებს მაინც ექნება მნიშვნელობა?***

— დიახ. ჩვენ სულ 30 მაჟორიტარს ავირჩევთ. ჩვენ, კონსერვატიულ პარტიას მაჟორიტარების კანდიდატები ზოგიერთ ოლქში გვეყოლება. ისინი შეასრულებენ როლს პარტიული ხმების მობილიზაციაშიც. გაერთიანებული ოპოზიცია რომ აპირებდა მაჟორიტარების კანდიდატებზე სრულ შეთანხმებას, ეს არ გამოვიდა. ეგენი იმასაც იძახდნენ, ერთიანი ფრონტით დავიწყებთ შეტევასო. ნათელაშვილის ფანჩატურის ოპოზიცია, ნაციონალებთან ერთად შექმნილი ოპოზიციური ფრონტი სრული ბლეფი აღმოჩნდა. ეს იყო ყალბი განცხადებები და პოლიტიკური მანევრები. აბა, როგორ შეიძლებოდა ნათელაშვილის, ბურჯანაძისა და სააკაშვილის პარტიის ერთად ყოფნა?! ოპოზიციის ნაწილი, რომელიც ვითომ ერთად დარჩა, მაჟორიტარების კანდიდატებზეც ვერ თანხმდება. ჩვენ საინტერესო კანდიდატები გვეყოლება. გვექნება პროგრამა ყველა სფეროში. დავიცავთ ეროვნულ, ტრადიციულ ღირებულებებს. ვიცით გზა, როგორ უნდა დავუპირისპირდეთ ფსევდოლიბერალურ აგრესიულ ძალებს. ჩვენ ხალხს ამ ფსევდოლიბერალი რადიკალების ნამდვილ სახეს ვუჩვენებთ.

# გიორგი ვაშაძე: „პრემიერ-მინისტრი უნდა იჯდეს იუსტიციის სახლში“



— ჩემი აზრით, პრემიერ-მინისტრი უნდა იჯდეს იუსტიციის სახლში, სადაც ყველაზე მეტი ხალხი მიდის, რათა ადვილად ხელმისაწვდომი იყოს. სხვათა შორის, ეს გათვლილიც არის იმ ინფრასტრუქტურაში, რომ თვითონ უნდა გამოიხედოს, შეხედოს ხალხს და ნახოს, რა გაჭირვებაა.

ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „დღის ნიუსრუმი“ განაცხადა.

როგორც გიორგი ვაშაძემ აღნიშნა, თავად რომ პრემიერი იყოს, სამუშაოდ ღია სივრცე ექნებოდა.

— მე არ ვარ კაბინეტის ადამიანი. კაბინეტი რომ საერთოდ არ მაქვს, იცით?! პრემიერ-მინისტრი უნდა იყოს ხალხთან, უნდა იყოს მარტივად ხელმისაწვდომი, პრემიერ-მინისტრს პირდაპირი კონტაქტი უნდა ჰქონდეს იმ ადამიანებთან, ვისაც უჭირს, უნდა უსმენდეს უმუშევრებს, უნდა ფიქრობდეს ემიგრანტების ქვეყანაში დაბრუნებაზე, უნდა ფიქრობდეს პენსიონერების იმ მძიმე ყოფაზე, რაც სესხების პროცენტით უღელად დაადეს ისედაც მცირე პენსიის პირობებში, პრემიერ-მინისტრი უნდა მუშაობდეს ახალგაზრდებთან.

ახალგაზრდებთან ვიყავი გუშინწინ, მშობლები უცხოეთში არიან, ბავშვები იზრდებიან და აქ სამუშაო ადგილს ვერ შოულობენ, ოჯახები დანგრეულია. ამათ ვითარებაში ცნება ოჯახი აღარ არსებობს. პირდაპირ გეტყვით, კაბინეტები კი არ მექნება, მე ვიქნები გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი, — განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

მისივე თქმით, იუსტიციის სახლი სწორედ იმიტომ გააკეთა, რომ ხალხთან ახლოს ყოფილიყო.

— თავიდან კაბინეტი დამხვდა და მქონდა. მერე კი ვიჯექით. მე მიყვარს ხალხთან ერთად ყოფნა, ყველაფერს კედლებზე ვწერთ, ჩემთან ყველა პროექტი კედლებზეა დაწერილი, — განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

# კომპანიის ხელმძღვანელი პასუხისგებაში მიეცა

სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ერთ-ერთი კომპანიის ხელმძღვანელი პასუხისგებაში მიეცა, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

საგამოძიებო სამსახურის ცნობით, ბრალდებული მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა სახელმწიფო ქონებას — 7.303 ლარის ოდენობით. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისას, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, ერთ-ერთი კომპანიის ხელმძღვანელი პასუხისგებაში მისცა.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა კახეთის მუნიციპალიტეტის დაკვეთით განახორციელა საბავშვო ბაღის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები, როდესაც, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, დოკუმენტაციაში ხელოვნურად გაზარდა რეალურად შესრულებული სამუშაოების მოცულობები, რითაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა სახელმწიფო ქონებას — 7.303 ლარის ოდენობით. გამოძიების პროცესში ბრალდებულის მიერ სრულად იქნა ანაზღაურებული მიყენებული ზიანი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი და 180-ე მუხლის მეორე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით“.

# კელი დეგნანი: „ოქტომბრის არჩევნების მიმართ ყურადღება დიდია“

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, კელი დეგნანის განცხადებით, საქართველოს მიმართ ამერიკის ყურადღება დიდია, განსაკუთრებით ოქტომბრის არჩევნების მიმართ.

ამის შესახებ მან მაიკ პომპეოსა და პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას სატელეფონო საუბართან დაკავშირებით განაცხადა.

დეგნანის თქმით, არჩევნები არის კიდევ ერთი კარგი შესაძლებლობა, რომ ქვეყანამ დემოკრატიის მიმართ ერთგულება წარმოაჩინოს.



— ძალიან პოზიტიურია და სასარგებლოა, როცა ქვეყნების ლიდერები ერთმანეთთან საუბრობენ. ჩვენ ძალიან ფართოდ ვთანამშრომლობთ სხვადასხვა მიმართულებით და, შესაბამისად, სხვადასხვა არხებით. რაც შეეხება საქართველოს, მის მიმართ ინტერესი და ყურადღება დიდია, განსაკუთრებით ოქტომბრის არჩევნების მიმართ. ეს არის კარგი შანსი საქართველოსთვის, კიდევ ერთხელ წარმოაჩინოს დემოკრატიული პროცესების მიმართ ერთგულება და ჩატარდეს ისეთი არჩევნები, სადაც არ იქნება ამომრჩევლის დაშინება, ადგილი არ ექნება ხმების მოსყიდვას და ეს იქნება კიდევ ერთი შესაძლებლობა, ქვეყანამ დემოკრატიის მიმართ ერთგულება წარმოაჩინოს, — განაცხადა კელი დეგნანმა.

27 ივლისს საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს შორის სატელეფონო საუბარი შედგა, რომლის დროსაც მხარეებმა სტრატეგიული პარტნიორობის ძირითადი საკითხები განიხილეს.

# სამეგრელოში უაქციზო თამბაქოს ნაწარმის ტრანსპორტირების ფაქტები გამოვლინდა

27-28 ივლისს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს დასავლეთის განყოფილების თანამშრომლების მიერ, ქალაქ ზუგდიდში, 24 საათიან რეჟიმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, უაქციზო თამბაქოს ნაწარმის (790 კოლოფი უაქციზო სიგარეტი) ტრანსპორტირების 2 ფაქტი გამოვლინდა. ამის შესახებ, „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ პირებს ჩამოერთვათ საქონელი.

ერთ შემთხვევაში, სამართალდამრღვევი პირის მიმართ ადმ.ს.კ-ის 1552 მუხლის შესაბამისად შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და ქვემდებარეობით შესაბამის სასამართლოს გადაეგზავნა, ხოლო მეორე შემთხვევაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შესაძლო დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, საქმის მასალები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა.

# შვილის მიმართ გარყვნილი ქმედების ბრალდებით მამა დააკავეს

პოლიციამ არასრულწლოვანი შვილის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედების ბრალდებით მამა დააკავა.

არსებული ინფორმაციით, შემთხვევა ქვემო ქართლში რამდენიმე დღის წინ მოხდა. სამართალდამცველებმა მამაკაცი გუშინ, 28 ივლისს დააკავეს.

მომხდარის შესახებ 10 წლის გოგონამ დედას თავად უამბო, რის შემდეგაც მამაკაცმა ჩადენილი დანაშაული მეუღლესთან აღიარა, შემდეგ კი პოლიციაში თავად დარეკა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 11 პრიმა 141-ე მუხლით დაიწყო, რაც ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ გარყვნილ ქმედებას გულისხმობს.

# რითი ჰგავს შაქარაშვილის და გირგვლიანის საქმეები ერთმანეთს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თუ თავში ტვინი აქვს. თუმცა რასაც მე ვუყურებ, ივანიშვილი არაგონიერი ადამიანია ძალიან. მას ჰგონია, რომ იყიდის ამომრჩეველს და მოიგებს. ამათი დარჩენა კატასტროფა იქნება! ამათ როგორღა უნდა მართონ ქვეყანა?! ესენი ვეღარაფერს გამოასწორებენ.

აქ კიდევ ერთი პრობლემაა, ოპოზიციაა ძალიან სუსტი. ძირითადი ოპოზიცია არის ხალხისთვის მიუღებელი. აქ ქართველი ხალხის მანკიერი მიდრეკილებაც გასათვალისწინებელია, რომ 400 ლარად გაიყიდონ. ან პოლიციელებმა დაურეკონ და უთხრან, რომ შენ ნარკოტიკი რამდენიც გინდა გაიჩხირე, ხმას არ გაგცემთ, ოღონდ ამდენი ხმა მოგვიტანე. იგივეა, რასაც სააკაშვილის რეჟიმი აკეთებდა. ქურდებს ებრძოდნენ და მერე ისევ ამ ქურდებს არეკინებდნენ ციხიდან, ხმა მიეცითო.

დღესაც ხომ ყველა ვხედავთ, რომ ე.წ. შავი ავტორიტეტებით ცდილობს ივანიშვილი, ხელისუფლება შეინარჩუნოს. თუ ამ ქვეყანაში წესიერად მოაზროვნე საზოგადოება სჭარბობს, ივანიშვილის რეჟიმი დამარცხდება, ხოლო თუ კრიმინალის და ფულის მოყვარული საზოგადოება უფრო მეტია, მაშინ მოიგებს ივანიშვილის რეჟიმი.

ეს არჩევნები ერთგვარი ტესტიც იქნება საქართველოს მოქალაქეებისთვის.

# „არ გვინდა, რომ თამარის უმანკო სული ლაფში იყოს გასვრილი“

## ადვოკატის თქმით, თამარ ბაჩალიაშვილის საქმის გამოძიება ცუდად მიმდინარეობს

– თურმე, რატომ არ ვამბობ, რომ ყველაფერი იდეალურადაა. არ არის არაფერი იდეალურად! არ მიდის გამოძიება ისე, როგორც უნდა მიდიოდეს, ოჯახის წევრებთან გარკვეული ვაჭრობა განახორციელეს, – ამის შესახებ 23 წლის თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

როგორც ადვოკატი განმარტავს, მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა დაგეგმილად მიმდინარეობს.

– მამაჩემს რაღას ერჩიან, რომელიც ქალაქში ერთ-ერთი ძალიან პატივსაცემი მუსიკოსი იყო, რატომ ლანძღავენ ამ ადამიანს? რა არ მოსწონთ ჩემში? მე დაზარალებულის უფლებებს ვიცავ და ამ ულამაზესი ბავშვის სიკვდილი რასთან არის დაკავშირებული, იმას ვადგენ. თუ გამოძიება იმით იყო დაკავებული, ეს ბავშვი ამდენი ხანი თუ არ ჩანდა, „ახალგაზრდა გოგოა, თავის ბოიფრენდთან ხომ არაა წასული, მე ახლა შევწუხდებიო“ და დღეს თუ ოჯახს ნდობა არ აქვს, პროტესტი გამოხატა და მეც იგივე პოზიცია მაქვს, ჩემ მიმართ ზიზღი გამოხატეს ბოტებმა და ტროლებმა. ეს ფსიქოლოგიური ზეწოლაა და ყველანაირად მიუღებელია. ეს დაგეგმილადაა გაკეთებული.

თურმე, რატომ არ ვამბობ, რომ ყველაფერი იდეალურადაა. არ არის არაფერი იდეალურად. არ მიდის გამოძიება ისე, როგორც უნდა მიდიოდეს, ოჯახის წევრებთან გარკვეული ვაჭრობა განახორციელეს, გამოძიება არ მოიქცა ისე, როგორც იმ პერიოდში შვილდაკარგულ მამასთან უნდა ჰქონოდა ურთიერთობა. მტერს არ ვუსურვებ ისეთ მდგომარეობაში ყოფნას, როგორშიც არის დედა, მამა და ძმა, მათ განწყობას არ უყურებენ.

ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტს, ბატონ დავით ასათიანს მივმართავ, დარწმუნებული ვარ, მას ესმის, რა მძიმეა ადვოკატის პროფესია, დარწმუნებული ვარ, ის გაითავისებს და ესმის, როგორია ადვოკატების პროფესიაზე, პროფესიონალიზმზე ზეწოლა და მხარდაჭერა მექნება მათი მხრიდან, – განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

ის დარწმუნებულია, რომ სამართალდამცველები გოგონას დაბრუნებას 2-3 დღეში ელოდებოდნენ და უბრალოდ განცხადება გააკეთეს, რომ ეძებდნენ.

– დარწმუნებული ვარ უკვე იმაშიც, რომ ალბათ საგამოძიებო ორგანოებმა, რომლებმაც მიიღეს განცხადება, რომ ბავშვი არ ჩანდა, ჩათვალეს, რომ ახალგაზრდა გოგოა, ეტყობა მანქანით გაისეირნა თავის მეგობრებთან და დაბრუნდება რამდენიმე დღეში. უბრალოდ გააკეთეს განცხადება, რომ ვეძებთ. ის 15 კილომეტრი მერე აღმოჩნდა, რომ არც მოუძებნიათ. ელოდებოდნენ, რომ 2-3 დღეში ბავშვი დაბრუნდებოდა, აი ეს არის შედეგი.




არ შეიძლება, როდესაც ხარ გამომძიებელი და პოლიციის თანამშრომელი, უყურო ისე, რომ ბავშვი დაბრუნდება. თუ შენ პროფესიონალი ხარ, შენ თუ კეთილსინდისიერი და პასუხისმგებლიანი თანამშრომელი ხარ, არ შეიძლება, შეფასება დაიწყო, რომ ახალგაზრდაა და მოვა, შენი ვალდებულებაა, ნებისმიერ სიტუაციაში რეაგირება მოახდინო ისე, როგორც გევალება, – განაცხადა რამიშვილმა.

თამარ ბაჩალიაშვილის ბიძის, კობა თამაზაშვილის, განცხადებით, ოჯახის თხოვნაა, რომ პროგრამისტის გარდაცვალების საქმე ობიექტურად იყოს გამოძიებული.

ოჯახი ითხოვს, რომ საქმის გამოძიება უშუალოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდეს, იმ მიზეზით, რომ ძალიან ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს.

– ობიექტურად გამოძიებას ვითხოვთ. უბრალოდ, არ გვინდა, რომ თამარის უმანკო სული ლაფში იყოს გასვრილი. რამ გამოიწვია სიკვდილი?! ეს იყო ჩხვლეტა, გამჭოლი ჭრილობა, თუ რის გამო დადგა სიკვდილი, ძალიან მაინტერესებს, – განაცხადა კობა თამაზაშვილმა.

მისივე განმარტებით, საქმესთან დაკავშირებით ძალიან ბევრი ექსპერტიზა დარჩა ჩასატარებელი, ასევე ამოსაღებია დრონის ჩანაწერები, ჯერ კიდევ არ არის გახსნილი თამარ ბაჩალიაშვილის სამუშაო კომპიუტერი, რაც ოჯახს გარკვეულ კითხვებს უჩენს.

– ჩემში ეჭვს იწვევს, რომ ეს ამბავი ან ძალიან არის ჩახლართული, რადგან გამოძიებას სურს ყველაფერში ობიექტურად გაერკვეს და მერე გვითხრას საბოლოო პასუხი, ან შეიძლება თავს ვერ ართმევდეს, – განაცხადა კობა თამაზაშვილმა.

რაც შეეხება საქმეში აშშ-ის ფედერალური ბიუროს ჩართვას, რათა გაიხსნას ბაჩალიაშვილის სამუშაო კომპიუტერი, გარდაცვლილი გოგოს ბიძა ამბობს, რომ ამის შესახებ ოჯახის ადვოკატმა შესაბამისი მიზეზის საფუძველზე ისაუბრა.

– რამდენადაც ვიცი, ამ დრომდე ვერ მოხდა კომპიუტერის გახსნა. ეს არის ჩვეულებრივი, საოფისე სამუშაო კომპიუტერი და ძალიან მიკვირს, რომ არ არიან შესაბამისი სპეციალისტები, რომ მოახერხონ მისი გახსნა. რადგანაც ადვოკატმა ეს ყველაფერი მიზანშეწონილად ჩათვალა, ალბათ რეალურად მიაჩნია, რომ ეს ასე უნდა იყოს, ვინაიდან, თამარი მუშაობდა იმ კომპანიაში, რომელიც ამერიკიდან იმართება, – განაცხადა კობა თამაზაშვილმა.

თამარ ბაჩალიაშვილი 18 ივლისს გაუჩინარდა. ახალგაზრდა პროგრამისტი სათვალთვალო კამერებმა ბოლოს თეთრიწყაროს რაიონში დააფიქსირეს. ის 5-დღიანი ძებნის შემდეგ თეთრიწყაროს ტყესთან, საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს.

ბაჩალიაშვილის საქმეზე გამოძიება თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით დაიწყო, შემდეგ კი ბრალდების კვალიფიკაციას თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლი დაემატა.

# „ტიპი მირეკავს და შენი სახე დამანახეო, მეუბნება“

## მიხეილ რამიშვილზე, გალინა კარმუშინასა და მარიამ ჯიშკარიანზე მუქარა და ზეწოლა მიმდინარეობს

ცენტრ „ემპათიას“ იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის გიორგი ლემონჯავას განცხადებით, ადვოკატ მიხეილ რამიშვილის სამუშაო ოფისთან უკანონო თვალთვალი და ფოტო-ვიდეოგადაღება მიმდინარეობს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ლემონჯავამ ადვოკატ მიხეილ რამიშვილთან და ცენტრ „ემპათიას“ პრეზიდენტ მარიამ ჯიშკარიანთან ერთად გუშინ, 28 ივლისს, გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

– უკანასკნელ დღეებში განსაკუთრებით გახშირდა მუქარისა და ზეწოლის ფაქტები ცენტრ „ემპათიას“ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის, გალინა კარმუშინას, უფლებადამცველ მიხეილ რამიშვილისა და ცენტრ „ემპათიას“ პრეზიდენტის მარიამ ჯიშკარიანის მიმართ.

აღნიშნული ზეწოლა გულისხმობს უკანონო თვალთვალს, სატელეფონო ზარებსა და სოციალურ ქსელში ორგანიზებულ შეტევებს. ადვოკატ მიხეილ რამიშვილის სამუშაო ოფისთან მიმდინარეობს უკანონო თვალთვალი და ფოტო-ვიდეოგადაღება. სასამართლო სამედიცინო ექსპერტ გალინა კარმუშინას მიმართ ხორციელდება დამამცირებელი და ღირსების შემლახავი მოქმედებები, როგორც უშუალოდ, პირისპირი კომუნიკაციისას, ასევე სატელეფონო ზარების მეშვეობით.



არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათიასა“ და მისი პრეზიდენტის მიმართ ადგილი აქვს პროსახელისუფლებო ექსპერტების მიერ სატელევზიო ეთერების მეშვეობით თავდასხმებს, ყველა ზემოხსენებული პირის მიმართ ადგილი აქვს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ასობით რეგისტრირებული მომხმარებლის, „ტროლებისა“ და „ბოტების“ მიერ კოორდინირებულ, არაავთენტურ ქცევას, რომელთა მიზანია ცენტრ „ემპათიას“ და ადვოკატ მიხეილ რამიშვილის პატივისა და ღირსების, პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის შელახვა, საზოგადოების თვალში მათი დისკრედიტაცია.

ყოველივე ზემოხსენებულზე დაყრდნობით გთხოვთ, გაატაროთ შესაბამისი ღონისძიებები, რათა შეწყდეს დამოუკიდებელ არასამთავრობო ორგანიზაციასა და მის თანამშრომლებზე, ასევე ადვოკატ მიხეილ რამიშვილზე მიმდინარე ზეწოლა, – განაცხადა ლემონჯავამ.

მარიამ ჯიშკარიანის განცხადებით, მისი დისკრედიტაცია საბჭოთა „პაგონებიანი“ ექსპერტების გამოყენებით მიმდინარეობს.

როგორც მან „პალიტრანიუსის“ გადაცემა „საღამოს ნიუსრუმში“ განაცხადა, მას ურეკავენ და გაურკვეველ კითხვებს უსვამენ.

– მიხეილ რამიშვილმა განაცხადა, რომ მას უთვალთვალებენ და ულებენ, ჩვენს ცენტრს უთვალთვალებენ. ჩვენი ექსპერტი და თანამშრომელი, რომლებიც წავიდნენ ჯანდაცვის სამინისტროში, როგორც კი ჯანდაცვის სამინისტროში შეხვედრა დასრულდა, ხუთი წუთიც კი არ იყო გასული, როცა მარტო დარჩა გალინა კარმუშინა, მას ორი გაურკვეველი პიროვნება მიადგა და გამოკითხვა დაუწყო. იყო გიდი, ექსპერტი, როდის დაამთავრა და ა.შ. გარდა ამისა, გალინას მუდმივად ტელეფონზე ურეკავენ და იერიშებია საბჭოთა სტილში.

საბჭოთა სტილი ნიშნავს იმას, რასაც ახლა ვლადიმერ პუტინი უკრაინაში აკეთებს. ვითომ, ის არაფერ შუაში არაა და რუსეთის ჯარები იქ არიან მის გარეშე. ეს არის საბჭოთა სტილი, ხელისუფლება ადამიანებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას სხვა აქტორებით რომ ახდენს და მანიპულირებს. ქალბატონ გალინას ურეკავენ, ეკითხებიან ოჯახზე, ხან რა მოუგონეს, რომ არის რუსების აგენტი. ეს არის მიუღებელი ყველა საერთაშორისო სტანდარტით.

იგივე ხორციელდება ჩემი მისამართით, საბჭოთა პაგონებიანი ექსპერტების გამოყენებით მიმდინარეობს ჩემი დისკრედიტაცია და დისკრიმინაცია, რაც ფაქტობრივად შეუძლებელია. ყველამ კარგად იცის, მე საიდან მოვდივარ და ზოგიერთი „პაგონიანი“ საიდან მოდის. ძალიან კარგად ვიცნობ „კაგებეს“ მეთოდებს. პროფესიით ფსიქიატრი ვარ და ფსიქოლოგიური ზემოქმედება ადამიანებზე როგორ უნდა მოხდეს, კარგად ვიცი.

მაგალითად, გუშინ ვიღაც მირეკავს ტელეფონზე და მეუბნება, დამანახე შენი სახე. 55 წლის ადამიანი ვარ და მსგავსი კომუნიკაცია არავის არ ჰქონია ჩემთან. როცა აიღო ჩემმა ადვოკატმა ტელეფონი, მან გაუთიშა. ასეთი ტროლებით და ბოტებითაა სავსე ჩემი, გალინა კარმუშინას და მიხეილ რამიშვილის საქმე, – განაცხადა მარიამ ჯიშკარიანმა.

# გიგა ტატიაშვილის, ვასილ მახარაძის, არჩილ გაგნიძის და რამდენიმე პირის საქმეები პროკურატურამ ცალკე წარმოებად გამოყო



გიორგი შაქარაშვილის დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად განზრახ მკვლელობის, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების და მასში მონაწილეობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის და ძალადობის ფაქტებზე, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, პროკურატურის გადაწყვეტილებით, ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე ვახტანგ ჩიქოვანის, ვასილ მახარაძის, არჩილ გაგნიძის, ნიკოლოზ რევაზიშვილის, გიგა ტატიაშვილის, თენგიზ ბარბაქაძის, ნიკა ჟვანიას, ირაკლი მუმლაძის, საბა ჩხარტიშვილის, ირაკლი წაქაძის და საბა გოგშელიძის მიერ, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების და მასში მონაწილეობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის და ძალადობის ფაქტებზე.

ამის შესახებ ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე განვმარტავთ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ უკვე დევნადაწყებულ ეპიზოდებზე საჭირო მტკიცებულებითი სტანდარტის შესაქმნელად ჩასატარებელი დამატებითი საგამოძიებო მოქმედებები განსხვავდება, განზრახ მკვლელობის ეპიზოდთან მიმართებაში ჩასატარებელი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებისგან, ასევე აუცილებელია მკვლელობის ჩამდენ პირთა იდენტიფიცირებისთვის მაქსიმალურად სწრაფი და ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფა.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი გიორგი შაქარაშვილის განზრახ მკვლელობის ჩამდენ პირთა გამოვლენის მიზნით. მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტიანად ტარდება მთელი რიგი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მისაღებია ბიოლოგიური, ქიმიური, ტრასოლოგიური, საინფორმაციო-ტექნოლოგიური და სხვა პირთა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მოწმეთა გამოკითხვები და უკვე მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი.

დღეის მდგომარეობით, უკვე მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, სისხლის სამართლებრივი დევნა მიმდინარეობს პატიმრობაში მყოფი 11 პირის მიმართ, რომელთაც ბრალად ედებათ ჯგუფური ძალადობის ორგანიზება და მასში მონაწილეობა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ძალადობა. ამასთან, ბრალდებულად ცნობილი 6 არასრულწლოვანის საქმე არსებითი განხილვის მიზნით უკვე წარმართულია სასამართლოში. პროკურატურის მიერ აღნიშნული სამართლებრივი პროცესუალური გადაწყვეტილების თაობაზე დეტალური ინფორმაცია მიეწოდა გიორგი შაქარაშვილის ოჯახს.

საქართველოს პროკურატურა აღნიშნულ საქმეზე არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, მომავალშიც მიაწვდის საზოგადოებას დეტალურ ინფორმაციას“ – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

# პოლიციამ დედოფლისწყაროდან დაკარგული ორივე მოზარდი თბილისში იპოვა

სამართალდამცველებმა დედოფლისწყაროდან დაკარგული ორივე მოზარდი თბილისში იპოვეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს.

გავრცელებული ინფორმაციით, არასრულწლოვნები სახლიდან 27 ივლისს გავიდნენ და მას შემდეგ არ გამოჩენილან.

ბავშვებმა განაცხადეს, რომ თბილისში გეგმავდნენ წასვლას და, შესაბამისად, მათი სამძებრო სამუშაოები, კახეთის გარდა, თბილისშიც მიმდინარეობდა.

შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით დაიწყო, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს.

# სპეცოპერაცია ფონიჭალაში – დაკავებულია 9 ნარკომოვაჭრე



შსს-მ ფონიჭალაში 9 ნარკორეალიზატორი დააკავა.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ფონიჭალის დასახლებაში 9 ნარკორეალიზატორი დააკავეს.

მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულები არიან: 2002 წელს დაბადებული ვ.პ., 1994 წელს დაბადებული ა.მ., 2001 წელს დაბადებული ა.ი., 1998 წელს დაბადებული ლ.ა., 1973 წელს დაბადებული ა.მ., 2002 წელს დაბადებული ე.მ., 1982 წელს დაბადებული ე.ფ., 1989 წელს დაბადებული დ.მ. და 1993 წელს დაბადებული რ.ა.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დგინდება, რომ ბრალდებულები სისტემატურად ყიდდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, 94 შეკვრა „ჰეროინი“, ასევე, ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“, 16.000 ლარამდე თანხა და მათი კუთვნილი მობილური ტელეფონები ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილით, მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე 273-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებას და ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებას გულისხმობს.

# კიევში ზელენსკის გადადგომას მოითხოვენ




უკრაინის დედაქალაქში პრეზიდენტ ზელენსკის ოფისთან პატრიოტების მიტინგი გაიმართა. მასში 4.000-მდე ადამიანი მონაწილეობდა.

შეკრებილებმა დონბასში ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმება დაგმეს და მას კაპიტულანტური უწოდეს.

– ზელენსკი პუტინის წინაშე უკან იხევს და ქვეყანას რუსეთს აბარებს! ზელენსკი უნდა გადადგეს! – სკანდირებდნენ შეკრებილნი.

კიევის მიტინგს მოსკოვში უმალ გამოეხმაურნენ. ვლადიმერ ჟირინოვსკიმ განაცხადა, რომ უკრაინაში უამრავი პრობლემაა, ხალხს შია. მიუხედავად ამისა, დონბასში ომის შეწყვეტას აპროტესტებენ.

– ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ უკრაინელები აგრესიული ერია. მათ ძარცვისა და მკვლელობების მეტი არაფერი შეუძლიათ! – აცხადებს ჟირინოვსკი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# საკუთარი ნახევრად შიშველი ფოტოსურათების გამომქვეყნებლით პოლიცია დაინტერესდა



კამბოჯის პოლიცია ეძებს ახალგაზრდა ქალს, რომელიც სოციალურ ქსელებში რამდენიმე თვის განმავლობაში პროვოკაციულ ფოტოსურათებს აქვეყნებდა.

კამბოჯაში გოგონას ფოტოსურათები „ქხმერული კულტურის დამაზიანებლად" და საზოგადოების შეურაცხმყოფელად ჩათვალეს.

ფოტოებსა და ვიდეოზე გოგონა ღრმა დეკოლტიანი და მოშიშვლებულმხრებიანი ჩასაცმელების დემონსტრირებას ახდენს. მას შემდეგ, რაც ფოტოსურათები სოციალურ ქსელებში გავრცელდა, ინტერნეტ-მომხმარებლების ნაწილმა გოგონა ქხმერული ტრადიციების და კამბოჯელი ქალების შეურაცხყოფაში დაადანაშაულა, მალე კი მისით ადგილობრივი კიბერდანაშაულებებთან მებრძოლი პოლიცია დაინტერესდა.

ამჟამად გოგონაზე, სახელად სარან ნარიტაზე, ძებნაა გამოცხადებული, მას პორნოგრაფიისა და შეუფერებელი გაშიშვლების ბრალდება აქვს წაყენებული. ვარაუდობენ, რომ ის პროსტიტუციით იყო დაკავებული და კლიენტებს ასეთი საშუალებით იზიდავდა. მას 30 დღიდან ერთ წლამდე პატიმრობა ემუქრება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გერმანია: ესპანეთის სამ რეგიონში არ გაემგზავროთ



გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო საკუთარ მოქალაქეებს აფრთხილებს, კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევების ზრდის გამო, ესპანეთის სამ რეგიონში არააუცილებელი ვიზიტებისგან თავი შეიკავონ.

საგარეო უწყების მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, აღნიშნული რეგიონებია: არაგონი, კატალონია და ნავარა.

ამ სამ რეგიონში ბოლო დღეების განმავლობაში ინფიცირების შემთხვევებმა საგრძნობლად მოიმატა, თუმცა ესპანეთის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ სიტუაციას აკონტროლებს.

27 ივლისს დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ საკუთარ მოქალაქეებს მოუწოდა, ესპანეთში გამგზავრებისგან, აუცილებელი შემთხვევების გარდა, თავი შეიკავონ და ესპანეთიდან ჩასული მოქალაქეებისთვის ორკვირიანი კარანტინი დააწესა.

ამ გადაწყვეტილებას ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა არამართებული უწოდა და აღნიშნა, რომ ქვეყანაში ტურისტები იმაზე მეტად იქნებიან დაცულები, ვიდრე ისინი დიდ ბრიტანეთში არიან.

# აშშ-ში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მასობრივი გამოცდა დაიწყო



აშშ-ში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მასობრივი გამოცდა დაიწყო. გამოცდას ფარმაცევტული კომპანია მოდერნა აწარმოებს. მთავრობამ კომპანიას დამატებით 47 მილიონი დოლარი გამოუყო.

ვაქცინის გამოცდა ადამიანებზე ხდება და უაღრესად მასშტაბურ ხასიათს ატარებს. მასში 30.000-მდე მოხალისეა ჩაბმული.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# თაღლითი თავს კაზინოს ვიპ-კლიენტად ასაღებდა და ათასობით დოლარი მოიპარა



აშშ-ში პოლიციელებმა გამოავლინეს თაღლითი, რომელიც კაზინოების ვიპ-კლიენტად ასაღებდა თავს და ამ გზით ათი ათასობით დოლარი მოიპარა.

2019 წლის აპრილში მიჩიგანის შტატის მკვიდრმა 55 წლის ჯონ კრისტოფერ კოლეტიმ, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაყალბება დაიწყო, რათა კაზინოში ვიპ-კლიენტის სახელით მოხვედრილიყო. ეს მას უფლებას აძლევდა სათამაშო დაწესებულებების სალაროში ავანსად მიეღო თანხა.

იმისთვის, რომ შეუმჩნევლად დარჩენილიყო, კოლეტი სახეზე იკეთებდა გრიმს, იცვამდა კოსტიუმებს და იყენებდა პროთეზებს. ამგვარად მან ორი თვის განმავლობაში 98.840 დოლარის მოპარვა მოახერხა.

2019 წლის 23 მაისს ეჭვმიტანილი კანზასის შტატის ერთ-ერთ კაზინოში დააკავეს. სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირებს, თუ როგორ ანაღდებდა 30 ათას დოლარს ადგილობრივ ბანკომატში. დამნაშავე ადგილზევე დააკავეს და მიჩიგანის ერთ-ერთ ციხეში გადაიყვანეს.

# პოლიციამ ნარკომოვაჭრეს ჰოლივუდის ფილმის წყალობით მიაგნო



იტალიის პოლიციამ ნარკომოვაჭრე ჰოლივუდის ფილმ „ჯონ უიკის" წყალობით გამოთვალა და კოლუმბიიდან კოკაინის კონტრაბანდა აღკვეთა.

მილანის აეროპორტში სამართალდამცავებმა ყავის მარცვლებით სავსე პაკეტი შენიშნეს, რომელზეც ეწერა სახელი სანტინო დ'ნტონიო. პოლიციელებმა გაიხსენეს, რომ ასე ერქვა ფილმის მეორე ნაწილში მაფიის მეთაურს.

შედეგად გაირკვა, რომ ყავის 500 მარცვალში 150 გრამი კოკაინი იყო ჩამალული. გზავნილი ფლორენციაში თამბაქოთი მოვაჭრისთვის იყო განკუთვნილი. სამართალდამცავებმა „ამანათის" მისაღებად მისული 50 წლის მამაკაცი დააკავეს.

# ხანდაზმულმა ქალმა დათვის თავდასხმა მოიგერია

იაპონიის ხიროსიმის პრეფექტურაში ხანდაზმულმა ქალმა მასზე თავდამსხმელი ჰიმალაური დათვის მოგერიება შეძლო და მტაცებელი აიძულა, გაქცეულიყო.

აღნიშნული ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც 82 წლის რუმიკო სასაკი და მისი მეუღლე ბოსტანში მუშაობდნენ. დათვმა მათთან შეუმჩნევლად მიახლოება მოახერხა. ქალმა მტაცებელი მხოლოდ მაშინ შენიშნა, როდესაც შესვენება გადაწყვიტა და ფეხზე წამოდგა. დათვი მას მაშინვე დაეძგერა.

– ის მოულოდნელად გამოქანდა და დამეძგერა, – იხსენებს სასაკი. მისი თქმით, მან დათვს დაარტყა, რამაც ცხოველი დააბნია და გაიქცა. ქალს სახეზე ამ ინციდენტის შედეგად მსუბუქი ნაკაწრები დარჩა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# თემო კახელიშვილმა „დიდი სცენა" დატოვა



მუსიკალური შოუ „დიდი სცენა" თემო კახელიშვილმა დატოვა. იგი აკაკი პაპუნიდთან ერთად წინა საკონკურსო ტურში გავარდნის კანდიდატად დასახელდა. მეხუთე საკონკურსო ტურში ორივე მომღერალმა შეასრულა ერთობლივი დუეტი და მაყურებლის გადაწყვეტილებით, შოუ თემომ დატოვა.

დიდი სცენის მეოთხე საონკურსო ტურში მაყურებლის რჩეული გახდა გიორგი ფუტკარაძე, მაყურებლის და ჟიურის ქულათა ჯამით ლიდერადაც გიორგი ფუტკარაძე დასახელდა.

საკონკურსო ტურის დასრულების შემდეგ, მაყურებლის და ჟიურის ქულათა ჯამით ყველაზე ნაკლები ხმა მიიღეს აკაკი პაპუნიდმა, გიორგი გასვიანმა და ცოტნე ბარბაქაძემ. ბოლო სამ ადგილზე გასული კონკურსანტებიდან ჟიურიმ თავის რჩეულად აკაკი პაპუნიდი დაასახელა და შოუში დატოვა, ამიტომ შოუდან გავარდნის კანდიდატები არიან გიორგი გასვიანი და ცოტნე ბარბაქაძე. ისინი 2 აგვისტოს მეხუთე საკონკურსო ტურს გახსნიან ერთობლივი დუეტით. მათთვის ხმის მიცემა შეეძლება ნებისმიერ მსურველს კონცერტის დაწყებისთანავე. დუეტის შესრულების დროს, ხმის მიცემა მხოლოდ მათთვის იქნება შესაძლებელი. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი აუთსაიდერი დატოვებს პროექტს, მაყურებელი უკვე შეძლებს დაურეკოს და ხმა მისცეს ყველა კონკურსანტს, მათ შორის პროექტში დარჩენილ აუტსაიდერსაც შოუს დასრულებამდე.

დასაწყისი მე-8 გვერდზე

# საფესტივალო და საკლუბო კულტურა სულს ღაფავს

შევძლებდით შეკრებას და ჩვენი საქმიანობის გაგრძელებას. იმ პირობებში, როდესაც არც ერთი ფინანსური ინსტიტუცია არ დაგვიდგა გვერდით, ისევ ჩვენი ძალებით მოვიძიეთ დამატებითი ფინანსური რესურსები, რომ გადაგვერჩინა ის საყვარელი სფერო, რომელშიც უამრავი შრომა ჩავდეთ. თუმცა ბოლო წამს დაპირებული რეგულაციები შეიცვალა და მხოლოდ 200 ადამიანის მასპინძლობის უფლება დაგვრთეს. უნდა აღინიშნოს, რომ გარე ღონისძიების ღირსეულად ჩატარებას ზუსტად ამ რაოდენობის დასაქმებული პერსონალი სჭირდება.

ამასთან ერთად, ყოველდღიურად ვხედავთ თუ როგორ მოქმედებს ჩვენს გარშემო შერჩევითი სამართალი და საზოგადოებაზე ზრუნვის სახელით, როგორ გვეკისრება კოლოსალური ჯარიმები 10 000 + ლარი იმ აბსურდული არგუმენტის საფუძველზე, თითქოს ჩვენ კულტურულ ღონისძიებებს არ მივეკუთვნებით. იმაზე მსჯელობა თუ ვისთვის გართობაა ეს სფერო და ვისთვის „მაღალი კულტურა", ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ ფაქტია, ათასობით ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მსგავსი შეკრების ადგილების არსებობა.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ამ სფეროს ენთუზიასტებისთვის, უსაფრთხო სივრცეების გულშემატკივრებისთვის, ადამიანებზე ზრუნვა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა უცხო არ არის. ახლა მარტოდ ვართ დარჩენილები კრიზისთან, შესაბამისად, ჩვენი მომავალიც ბუნდოვანია, ერთადერთი, რაც დაგვრჩენია, ჩვენი მეგობრების მხარდაჭერა და თანადგომაა, იმისთვის, რომ გადავრჩეთ! **მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## სპორტი

# რუმენიგე უეფას და ოქროს ბურთს აკრიტიკებს

მიუნხენის ბაიერნის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარემ, კარლ-ჰაინც რუმენიგემ კომენტარი გააკეთა სპორტული არბიტრაჟის მიერ სიტისთვის დისკვალიფიკაციის მოხსნის თაობაზე.

**კარლ-ჰაინც რუმენიგე:**

– ვფიქრობ, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოდ იმიტომ იქნა მიღებული, რომ უეფამ ცუდად გააკეთა თავისი საქმე. ეს ინფორმაცია ბევრი წყაროდან მომივიდა. როგორც ჩანს, საქმე არ იყო კარგად მომზადებული და თავდაპირველი გადაწყვეტილება ნაჩქარევად მიიღეს. მე კი ვულოცავ ჩემს კოლეგებს მანჩესტერ სიტიდან. ასევე გახარებული ვარ ჩემი მეგობრის, პეპ გვარდიოლას გამო. კარგად ვიცი, რას ნიშნავს მისთვის ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობა.



შეგახსენებთ, უეფან სპოსორებთან კონტრაქტებში ფინანსური მაქინაციების გამო სიტი ევროტურნირებიდან 2 წლით მოკვეთა, მაგრამ „ქალაქელებმა" აპელაცია საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანეს და გაიმარჯვეს კიდეც.

რუმენიგემ გააკრიტიკა ჟურნალ ფრან ფუტბოლის გადაწყვეტილებაც. მოგეხსენებათ, ფრანგული გამოცემის ინიციატივით, „ოქროს ბურთი" წლევანდელი სეზონის მიხედვით, არავის გადაეცემა.

– შესაძლოა, ფიფას მივმართოთ, რომ პრიზი ისევ მათ გადასცენ. ყველამ ჩაამთავრა სეზონი ფრანგული ლიგის გარდა. ამიტომ, საუკეთესო ფეხბურთელს აუცილებლად უნდა გადაეცეს „ოქროს ბურთი." რობერტ ლევანდოვსკიმ ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა. შესაძლოა, ეს საუკეთესო წელია მის კარიერაში. სამწუხაროდ, ფრანს ფუტბოლმა წლეულს „ოქროს ბურთის" გაუქმება გადაწყვიტა. ეს არ არის სამართლიანი. ჯანი ინფანტინოს დაველაპარაკები და ვთხოვ, იქნებ დაარწმუნოს ჟურნალის ხელმძღვანელობა ან თავად ფიფამ გადასცეს „ოქროს ბურთი" საუკეთესო ფეხბურთელს.

# შედეგები

**27 ივლისი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

**ფლეი ოფი**

| | |
|---|---|
| კარდიფი-ფულემი | 0:2 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ბენევენტო-კიევო | 0:1 |
| კროტონე-ფროზინონე | 1:0 |
| პერუჯა-ტრაპანი | 1:2 |
| პესკარა-ლივორნო | 1:0 |
| პიზა-ასკოლი | 1:0 |
| პორდენონე-სალერნიტანა | 1:1 |
| სპეცია-ვირტუსი | 0:0 |
| ჩიტადელა-ვენეცია | 1:0 |
| ემპოლი-კოზენცა | 1:5 |
| იუვე სტაბია-კრემონეზე | 1:2 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| მილაბი-კალმარი | 2:2 |
| ჰამარბი-იორებრო | 3:0 |
| ესტერსუნდი-ჰელსინბორგი | 0:0 |

# გუგა ჭყონია დაქორწინდა

„ნიჭიერის" მონაწილე გუგა ჭყონია დაქორწინდა. ნიჭიერმა ახალგაზრდამ, რომელიც მაყურებელს განსაკუთრებული ბითბოქსერობით დაამახსოვრდა, ნანუკა მეტრეველზე იქორწინა.

გუგას და ნანუკას გაბედნიერება უახლოეს მეგობრებთან ერთად, რიგითმა მოქალაქეებმაც მიულოცეს და ყველაფერი საუკეთესო უსურვეს.




# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

- ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებას. მკურნალობაში ვიყენებ თანამედროვე საშუალებებს, ასევე სათანადო აპარატურასა და „ერექტორებს", რომლის საშუალებითაც უძლურ მამაკაცსაც შეუძლია ჩაატაროს სრულიად ნორმალური სქესობრივი კავშირი, რომელიც არ შეიგრძნობა, არ არის მავნე, უტყუარია გამოყენებისას და შეტანილია სექსოლოგიის, ასევე უროლოგიის სახელმძღვანელოებში. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

# მესის მწვრთნელად ბიელსა სურს



ბრიტანული გამოცემები საინტერესო ინფორმაციას ავრცელებენ – ბარსელონას კაპიტან ლეო მესის, გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე მარსელო ბიელსას დანიშვნა სურს.

ბიელსა არგენტინელია, 65 წლის სპეციალისტმა წლევანდელ სეზონში თავი ლიდს იუნაიტედთან ერთად გამოიჩინა და 16-წლიანი პაუზის შემდეგ, ინგლისური კლუბი პრემიერ ლიგაში დააწინაურა.

დიდი ალბათობით, სეტიენი „ბლაუგრანას“ ჩემპიონთა ლიგის დარჩენილ შეხვედრებში უხელმძღვანელებს, შემდეგ კი კლუბს დატოვებს.

გაგიკვირდებათ და, ერთ-ერთი, ვინც სეტიენის მუშაობით არის კმაყოფილი, ხავი ერნანდესია.

**ხავი ერნანდესი:**

– ჩემი მიზანი „ბლაუგრანას“ თავკაცობაა... ამას ყოველთვის ვამბობ და არასდროს ვმალავ. როცა დრო იქნება, ასეც მოხდება. „კამპ ნოუ“ ჩემი სახლია და იქ დაბრუნებაზე მუდმივად ვოცნებობ. მიუხედავად ამისა, ახლა ფოკუსირებული „ალ სადზე“ ვარ. ნებისმიერ შემთხვევაში, კიკე სეტიენს პატივი უნდა სცენ, მის გუნდს ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ. ხანდახან ბარსა შესანიშნავად თამაშობს, ხან – ცუდად. პირადად, სეტიენის იდეები მომწონს – ცდილობს, მისმა ბიჭებმა დომინანტის როლი მოირგონ და მიმზიდველი თამაში აჩვენონ. ზოგჯერ ეს შეუძლებელია, რადგან მოწინააღმდეგე საქმეს გირთულებს. კიკესთან ერთად „ბლაუგრანამ“ ბევრი ძალიან კარგი და მშვენიერი მატჩი ჩაატარა.

შესაძლოა, ხავის ეს სიტყვები თამაში იყოს. ერნანდესს ახლა სეტიენი უფრო უნდა აწყობდეს გუნდში, ვიდრე რომელიმე სხვა მწვრთნელის მისვლა, რომელიც შედეგს დადებს და მის ბარსელონას მწვრთნელობას კიდევ უფრო გადაწევს.

აქვე გეტყვით, რომ ბარსელონა და ინგლისური არსენალი გაცვლისთვის ემზადებიან, რომელშიც 3 ფეხბურთელი იქნება ჩართული. კატალონიური გრანდის ინტერესების სფეროში 21 წლის ფრანგი ლეგიონერი მატეო გენდუზი შედის.

გავრცელებული ინფორმაციით, „მეთოფეები“ ახალგაზრდა ფეხბურთელს, რომელიც მეტწილად ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს, 40.5 მილიონ ევროდ აფასებენ, მაგრამ ბარსა გაცვლის ვარიანტებზე მუშაობს.

თავდაპირველად, კატალონიელებმა არსენალს გენდუზის სანაცვლოდ ბრაზილიელი ფილიპე კოუტინიო შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს, ახლა კი, თანახმანი არიან ფრანგი ნახევარმცველის სანაცვლოდ ხორვატი ივან რაკიტიჩი და ჩილელი არტურო ვიდალი დათმონ.

იენდუზი არსენალში 2018 წლის ზაფხულში 8 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადაბარგდა, მის კონტრაქტს კი ვადა 2022 წლის 30 ივნისს ეწურება. 2019-20 წლების სეზონში მატეომ ლონდონელთა მაისურით 34 მატჩი ჩაატარა და აქტივში 3 საგოლე პასი ჰქონდა.

# გიორგი კუცია: „დინამოს ჩხეტიანის ხელი დაეტყო“

ეროვნული ლიგის მიმდინარე სეზონში თბილისის დინამოს ახალგაზრდა ნახევარმცველი გიორგი კუცია დაუბრუნდა და გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრიც გახდა.

20 წლის ფეხბურთელი გასულ წელს გორის დილაში იყო განათხოვრებული. დინამოში დაბრუნების შემდეგ უკვე 2 გოლის გატანა მოახერხა – საბურთალოსთან ჯარიმიდან ულამაზესი გოლი გაიტანა, ხოლო დილას 11 მეტრიდან შეუგდო.

***–როგორია შენი ფიზიკური ფორმა 3-თვიანი იძულებითი პაუზის და კარანტინის გავლის შემდეგ?***

– კარანტინის შემდეგ ფორმაში დავბრუნდი და როგორც მე, ისე მთლიანად გუნდი უკეთესად გამოვიყურებით. თუმცა, ეს საკმარისი არ არის. გვაქვს კომპონენტები, რომელიც მატჩიდან მატჩამდე და ვარჯიშიდან ვარჯიშამდე უნდა გამოვასწოროთ და დავხვეწოთ.

***– დინამოსთვის სეზონის სტარტი არადამაჯერებელი იყო, მაგრამ კარანტინის შემდეგ გუნდი უკეთესად ათამაშდა. თუმცა, იყო არასტაბილურობაც.***

– გასულ შეხვედრებს ძალიან დადებითად შევაფასებ. თითოეული ფეხბურთელი ვცდილობთ, რომ მწვრთნელის მითითებები, მისი ხედვები და გეგმები სრულფასოვნად შევასრულოთ და ამას შედეგი ნამდვილად მოაქვს.

***– იყო შეხვედრები, სადაც გოლის გატანის ბევრი მომენტი მიიღე, მაგრამ ბოლო ფაზაში სიზუსტე დაგაკლდა. თავად რომელ მომენტს გამოარჩევდი?***

– როგორც ჩანს, მაშინ ჩემი დღე არ იყო. გოლის გატანა ძალიან მინდოდა, მაგრამ არ გამიმართლა. ყველა მომენტი, რომელიც შევქმენი, დასანანი იყო, მაგრამ გამოვარჩევ ლოკომოტივთან იმ ეპიზოდს, როცა საჯარიმოში შევედი და მეტოქის მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდებას ვცდილობდი. შევეცდები, რომ შემდეგ შეხვედრებში ამ საკითხზე ვიმუშაო და გამოვასწორო მომენტების რეალიზების კომპონენტი.

***– დინამოს ახალი მწვრთნელი ჰყავს. როგორია კახა ჩხეტიანთან მუშაობის პროცესი?***

– წელს დინამო სრულიად ახალი გუნდია ახალი მწვრთნელით, რომელსაც შესათამაშებლად გარკვეული დრო სჭირდება. სეზონის მძიმე სტარტიც ალბათ ამის ბრალი იყო. ვფიქრობ, ჩხეტიანის ხელი გუნდს უკვე დაეტყო. ის ძალიან თბილი და კარგი პიროვნებაა და მან ერთ მუშტად შეგვკრა. სასიამოვნოა ის განწყობა, რომელიც გუნდში არსებობს და ეს მთავარი მწვრთნელის ძალიან კარგი მუშაობის დამსახურებაა.



***– გუნდში ახალი პოზიცია გაქვს. რამდენად კომფორტულია შენთვის საყრდენიდან შემტევი ნახევარმცველად გადანაცვლება?***

– თავიდან შემტევის პოზიციაზე თამაში გამიჭირდა, თუმცა ნელ-ნელა შევეჩვიე ათიანზე თამაშს. და ვცდილობ ის პრობლემაც დავხვეწო, რომელიც ბოლო მატჩებში გამოიკვეთა – მომენტების რეალიზება. მწვრთნელიც მენდობა და, როგორც ჩანს, ჩემში წინ თამაშის მონაცემებს ხედავს.

***– წინა სეზონი დილაში გაატარე, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს პერიოდი შენი კარიერისთვის?***

– გორში იჯარით წასვლამ გამოცდილება მომცა, მეტი სათამაშო დრო მივიღე და ამან პროფესიონალურად უფრო მეტად გამზარდა. შევეცადე, რომ დილაში ყოფნა მაქსიმალურად გამომეყენებინა და დინამოში უფრო ძლიერი დავბრუნებულიყავი.

***– ეროვნულ ლიგას ახალი, დროებითი ფორმატი აქვს. ამ პირობებში როგორია თქვენი სატურნირო შანსები და რომელ გუნდებს მიიჩნევ მთავარ კონკურენტებად?***

– დინამოს მიზანი ყოველთვის ჩემპიონობაა და გვსურს, რომ პირველი ადგილი შევინარჩუნოთ. ჩემპიონატის ფორმატის განახევრებამ სიტუაცია უფრო დაძაბა და ყველა გუნდისთვის თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა. თელავმა, მერანმა და სხვა შედარებით სუსტმა გუნდებმა ისეთი მატჩები ჩაატარეს, რომ ამით გამოჩნდა, თუ რა კონკურენციის გაწევა შეუძლია თითოეულ მეტოქეს ნებისმიერ მატჩში. მთლიანობაში, ძალიან დაძაბული ჩემპიონატი უნდა გამოვიდეს, მაგრამ მგონია, რომ ყველაზე მეტად კონკურენცია ბათუმის დინამოსთან, გორის დილასთან და საბურთალოსთან მოგვიწევს. განწყობა ძალიან კარგი და დადებითი გვაქვს, გვინდა თითოეულ მატჩზე ვკონცენტრირდეთ და არსებული რესურსი იმდენად გამოვიყენოთ, რომ როგორც შიდა ჩემპიონატში, ისე ევროსარბიელზე დამაჯერებელი შედეგი დავდოთ.

# საქართველოს რვა ერის დაუკეტეს

გარკვეული პერიოდის წინ, ირლანდიურ და ფრანგულ პრესაში დაიწერა, რომ 6 ერის მიერ ორგანიზებულ ტურნირზე, რომელიც ნოემბერ-დეკემბერში უნდა გაიმართოს, შესაძლოა, ფიჯისთან ერთად, საქართველოს ნაკრებს ეთამაშა.

თუმცა, უკვე დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასე არ იქნება. არაერთმა ცნობილმა უცხოურმა გამოცემამ დაწერა, რომ ფიჯისთან ერთად, მეორე მიწვეული არა საქართველო, არამედ, იაპონიის ნაკრები იქნება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გუნდები 2 4-გუნდიან ჯგუფებში გადანაწილდებიან. პირველ ჯგუფში ინგლისი, ირლანდია, უელსი და ფიჯი ითამაშებენ, ხოლო მეორეში – საფრანგეთი, შოტლანდია, იტალია და იაპონია.

ტურნირი 14 ნოემბერს აიღებს სტარტს, ჯგუფურ ეტაპზე 3 მატჩი გაიმართება, ხოლო ფინალური რაუნდი 5 დეკემბერს შედგება.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა ალტერნატივა ექნება საქართველოს ნაკრებს. ერთადერთი, რაც ამ ეტაპზე ცნობილია, ის გახლავთ, რომ „ბორჯღალოსნები“ თბილისში რაგბი ევროპის ჩემპიონატის ბოლო ტურის გადადებულ მატჩში რუსეთს უმასპინძლებენ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# მანჩესტერი დიდ ცვლილებებს გეგმავს



მანჩესტერ იუნაიტედმა ბოლო ტურში სტუმრად ლესტერი 2:0 დაამარცხა და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა. ეს სპორტული წარმატების გარდა, ფინანსური კუთხითაც ბევრ რამეს ცვლის. ლიგაზე ასპარეზობა კლუბებისთვის დამატებითი შემოსავალია, რომელიც 100 მილიონს აჭარბებს. შესაბამისად, იუნაიტედის სატრანსფერო ბიუჯეტი ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობაზე დიდწილად იყო დამოკიდებული.

მანჩესტერს არ სურს დაიტოვოს ამ სეზონში უკვე განათხოვრებული კრის სმოლინგი და ალექსის სანჩესი. მათთან ერთად გუნდიდან წავა ჯესი ლინგარდი, რომელმაც ფორმა დაკარგა და კონკურენციას თავის პოზიციაზე ახალგაზრდა მეისონ გრინვუდთან და დანიელ ჯეიმსთან აგებს. მას მიყვება ფილ ჯონსი, რომელმაც ამ სეზონში მხოლოდ ორჯერ ითამაშა.

მთავარი ამბავი კი დავიდ დე ხეას შესაძლო წასვლაა. ესპანელ მეკარეს ბოლო სეზონში ბევრი შეცდომა ჰქონდა, რომელმაც შედეგებზე გავლენა მოახდინა. მისი ფასი სატრანსფერო ბაზარზე კი ისევ ძალიან დიდია. შესაბამისად, თუკი იუნაიტედი მის მყიდველს მოძებნის, არ არის გამორიცხული, დე ხეაც გასაყიდთა სიაში აღმოჩნდეს.

სტრატეგიული მნიშვნელობის მანჩესტერისთვის ცენტრალური მცველის პოზიციაა, სადაც ვიქტორ ლინდელოფი არცთუ ისე დამაჯერებლად გამოიყურება. საუკეთესო ვარიანტი ნაპოლის კალიდუ კულიბალის შეძენა იქნებოდა. თუმცა, სენეგალელს დიდი ფასი აქვს და იუნაიტედის გარდა მისი გადაბირება სხვა გრანდებსაც სურთ. შესაბამისად, სათადარიგო ვარიანტად ლილის ახალგაზრდა ბრაზილიელი მცველი გაბრიელ მაგალიეში მიიჩნევა, რომელიც ამ სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენაა.

მანჩესტერელთა თავკაც ოლე გუნარ სოლსკიაერს დაცვაში კულიბალის გარდა ტაირონ მინგსისა (ასტონ ვილა) და ნათან აკეს (ბორნმუთი) ხილვაც სურს.

ახლახან იუნაიტედის 98 მილიონ ევროს უარი უთხრა დორტმუნდმა და ჯეიდონ სანჩო არ მიჰყიდა. თუმცა, მანჩესტერული კლუბის ხელმძღვანელობა იმედს არ კარგავს, რომ ფეხბურთელის გადაბირებას შეძლებს.

საერთოდაც, „წითელ ეშმაკებს“ მასშტაბური სატრანსფერო კომპანია აქვთ დაგეგმილი და სანჩო მისი ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. ნახევარდაცვაში სანჩოს გარდა ინტერესს დონი ვან ბეიკისა (აიაქსი) და ჯეკ გრილიშის (ასტონ ვილა) მიმართაც გამოხატავს, ხოლო თავდასხმაში მუსა დემბელესა (ლიონი) და ჰარი კეინის (ტოტენჰემი) გადაბირება უნდა.

საკმაოდ შთამბეჭდავი სიაა და ფინანსურადაც გვარიანად გადასახდელიც. თუმცა, იუნაიტედის ხელმძღვანელობა თანხის მოძიებას ფეხბურთელების იმ გაყიდვითაც გეგმავს, რომლებზეც ზემოთ გესაუბრეთ...

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მიხეილ ჯავახიშვილის ნამდვილი გვარი; 2. ეგვიპტის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელი; 3. ზოდიაქოს ნიშანი; 4. ფრანგი მწერალი „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი; 5. სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი ბოლნისის რაიონში; 6. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 7. ევროპის ჩემპიონი ქართველი მოფარიკავე ქალი; 9. საცხოვრებელი კომპლექსი თბილისში; 13. უძრავი ქონების დროებითი დაქირავება; 17. ფიჯის დედაქალაქი; 18. ძველებური წონის ერთეული საქართველოში უდრიდა 1200 გრამს.

**თარაზულად:** 1. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 3. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 8. მაისის სახელწოდება იტალიაში; 10. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 11. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 12. კერძო მეწარმე სოფლად; 14. ქართული მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 15. სპილენძის შენადნობი ტყვიასა და კალასთან; 16. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი; 19. სვან მამაკაცთა ცეკვა; 20. ხელოვნური აბრეშუმი; 21. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბრინჯაო; 2. კუპაჟი; 3. ხმელნიცკი; 4. კამორა; 5. სიმპათია; 7. ერბო; 11. დემარში; 13. სულგუნი; 15. კოლტი; 16. ძიუდო; 18. აპაში; 19. ბენცი.

**თარაზულად:** 6. რაველი; 8. ბულიმია; 9. წუმწუმა; 10. ჯოკონდა; 12. დირსი; 14. მანათი; 17. კალმასობა; 21. სტოუნი; 22. შვეცია; 23. მონოტიპი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაკხანალია; 2. მიზერი; 3. ქუთაისი; 4. ფობია; 5. ჰარვარდი; 6. ვისკი; 7. მექსიკა; 9. კახასა; 13. მესხი; 17. სვია; 18. რძე.

**თარაზულად:** 1. ბუდიზმი; 3. ქარაფი; 8. ლაღიძე; 10. დესპანი; 11. ჩარხი; 12. ბაღდათი; 14. ფაუსტი; 15. კაიზერი; 16. დასტა; 19. მახათა; 20. სააკაძე; 21. ახტალა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 ივლისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0727

ევრო — 3.6034

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.9549

100 რუსული რუბლი — 4.2999

## ამინდის პროგნოზი 29 ივლისისთვის




## მბაპეს ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა



პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მან მოედანი ნაადრევად დატოვა. თავიდან ვარაუდობდნენ, რომ მბაპე მალე გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ტრავმა საკმაოდ სერიოზულია და მბაპეს მინიმუმ ერთი თვე დასჭირდება იმისთვის, რომ სრულიად გამოჯანმრთელდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებს გამოტოვებს.

პსჟ მეოთხედფინალში იტალიურ ატალანტას დაუპირისპირდება.

## არტური ბარსელონაში თამაშზე უარს ამბობს



ბარსელონას ბრაზილიელი ნახევარმცველი არტური ბრაზილიაში იმყოფება და ესპანეთში დაბრუნებაზე უარს ამბობს. როგორც იცით, არტური მომავალ სეზონში იუვენტუსს შეუერთდება და ის ამ ტრანსფერის გამო ბარსელონაზე სერიოზულად არის გაბრაზებული. ამის გამო ის ნაპოლისთან შეხვედრაშიც დიდი ალბათობით არ იქნება, თუმცა შესაძლოა მან აზრი შეიცვალოს.

არტურს ბარსელონას დატოვება არ სურდა და ის იუვენტუსში გადასვლით ბედნიერი არ არის, რაც მან საჯაროდ თქვა კიდეც.

## ჩელსი იან ობლაკის ყიდვას ცდილობს

ლონდონის ჩელსი შეეცდება, მადრიდის ატლეტიკოს მეკარე იან ობლაკი შეიძინოს და ამისთვის ლონდონელები მზად არიან, საკმაოდ სოლიდური თანხაც გადაიხადონ.

ობლაკი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ ითვლება და მისი შეძენა სხვა გუნდებსაც სურდათ, მაგრამ ატლეტიკომ ყველას უარი უთხრა.

ამჯერად შესაძლოა ყველაფერი შეიცვალოს, თუ ობლაკმა ახალი კონტრაქტი არ გააფორმა. მიმდინარე კონტრაქტი ობლაკს 2022 წელს უმთავრდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**



## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს უყვება:

– ცოლის თავს ზევით მუშტი ალვმართე, მოვუქნიე, მაგრამ არ დავარტყი, შემდეგ კი შევეკითხე: შეგეშინდა?

– და იმან რაო?

– შუბლში ტაფა მთხლიშა და მკითხა: „გეტკინა?“

●●●

რაიონის წიგნის მაღაზიაში გოგონა შედის და გამყიდველს ეუბნება:

– „სექსი დიდ ქალაქში“ მინდა.

– წაი, მერე ბიძიკო თბილისში, აქანე რა დაგრჩენია?!

●●●

ერთი თანამშრომელი მეორეს ეკითხება:

– თვალზე რა გჭირს?

– გოგო ამოვიყვანე წყლიდან და ცოლმა დაგვინახა...

– საიდან ამოიყვანე, მტკვრიდან თუ ზღვიდან?

– ჩვენი აბაზანიდან...

●●●

ცოლი ქმარს ურეკავს და ეკითხება:

– ალო, გოგი, მე უკვე გავიღვიძე და შენ ჩემ გვერდით არ ხარ... სად ხარ საყვარელო?

– შენ თვითონ სად ხარ, შე შობელძაღლო, სად გაიღვიძე?!!

●●●

ექიმი პროქტოლოგი პაციენტს სინჯავს და ეუბნება:

– ჰოო, მეგობარო, აქ უკანა შესასვლელში ნახეთქი გაქვთ!

– არა, არა! შესასვლელში კი არა, გამოსასვლელში!

●●●

მამაკაცი აფთიაქში კითხულობს:

– ანალიზებისთვის ქილები თუ გაქვთ?

– განავლისთვის გსურთ თუ შარდისთვის?

– და რა განსხვავებაა?

– განავლისთვის კოვზითაა...

ამ დროს მამაკაცის უკან მდგომის ხმა ისმის:

– და შარდისთვის საწრუპით?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბიძინა ივანიშვილზე ლექსის დაწერისთვის ჰონორარი 1000 ლარია



თუკი პოეტი ხართ და დაწერთ ლექსს ბიძინა ივანიშვილზე, ჰონორარის სახით 1000 ლარს მიიღებთ, გამორჩეული ლექსების ავტორები კი ყოველთვიურ სტიპენდიას მიიღებენ 500 ლარის ოდენობით.

ეს ინფორმაცია პოეტმა თემო ჭახნაკიამ სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– ქველმოქმედ ბიძინა ივანიშვილისთვის ლექსი თუ გაქვთ მიძღვნილი, ან აწი მიუძღვნით, მომაწოდეთ.

ჯერჯერობით 45 დითირამბი შევაგროვე. ხარისხიანი და საკადრისი მიძღვნები ერთ კრებულად დაიბეჭდება „ქართუ ბანკის“ დაფინანსებით, ჰონორარი თითო ავტორზე 1000-1000 ლარია.

იდეის ავტორს ჯერჯერობით არ სურს ვინაობის გამხელა, სიურპრიზს უკეთებს საოცარი დენდრო პარკისა და სამების ამშენებელს, დიდ მამულიშვილს.

ყველაზე გამორჩეული მიძღვნის ავტორებს ყოველთვიური სტიპენდიაც შესაძლოა დაენიშნოთ 500 ლარის ოდენობით.

## თამარ ივერი: „რაიმე კარგი ქვეყანაში არაფერი ხდება?“



აინტერესებს ოპერის მომღერალ თამარ ივერს და ტელევიზიებით გაუთავებელი დაჭრების, მკვლელობების, გაუჩინარებების შესახებ გადმოცემული ინფორმაციებით გაღიზიანებულია:

– მაქვს შეგრძნება, რომ ქვეყანაში მხოლოდ მკვლელობები, გაუჩინარებები, დაჭრები, დასახიჩრებები, დახვედრები და ცემატყეპები, დევნები, ერთმანეთისადმი ჩივილები და ა.შ. ხდება.

ყველდღიურ რეჟიმში მხოლოდ ამას გადმოსცემს „ქუდზე კაცი“ ყველა საინფორმაციო არხი! რაიმე კარგი ქვეყანაში არაფერი ხდება ხალხნო? თუ მხოლოდ დღის შოუების თემაა დადებით თემებზე საუბარი?

კომუნისტების დროს საინფორმაციო გამოშვების ნახევარი ეთერი ეთმობოდა სიახლეებს, მიღწევებს, სპორტს, კულტურას.

ახლა მხოლოდ დაჭრეს, მოკლეს, მკვდარი იპოვეს, გაუჩინარდა, უჩივლეს, სცემეს... ასეთ „კოზანოსტრას“ რეჟიმში ერთ-ორ წელიწადში მივიღებთ ფსიქიკურად შერყეულ, ვამპირულ საზოგადოებას, რომელიც პირსისხლიან გიენას დაემსგავსება და მას მხოლოდ სისხლი დააინტერესებს და აღაგზნებს! აღარანაირი ხელოვნება, სპორტი, მიღწევები, პოლიტიკა, მედიცინა მას აღარ დააინტერესდება – მხოლოდ სისხლი, სიკვდილი და სისხლიანი საქმეები! და ის მშვიდობიანი ადამიანები, ვინც ამ სისხლისადმი და ამ თემაზე პოლემიკისადმი ინფერენტულნი იქნებიან, სრულიად უინტერესონი და მოკვეთილნი გახდებიან ამ სისხლისმოყვარული „გიენების ხროვისთვის“!

ამის ნიშნები უკვე გამოიკვეთილია როგორც მედიაში, ასევე სოცქსელებში! საით მივდივართ?

## თინათინ მაღალაშვილი: „ნეტა, რა ჯანდაბა გველოდება?!“



დიზაინერ თინათინ მაღალაშვილს ქვეყანაში ბოლო დროს შექმნილმა ვითარებამ ენთუზიაზმი და სტიმული ნულზე დაუყვანა და მხოლოდ ღმერთის იმედად არის დარჩენილი:

– ბიზნესი დავიწყე 2002 წლიდან, ნელ-ნელა, აგურ-აგურ ავაშენე ჩემი მოდის სახლი ჯერ კოსტავაზე და აგერ უკვე 7 წელია ყაზბეგის გამზირზე. გავიარე 2 ხელისუფლების შეცვლის კრიზისი, გავიარე 2008 წლის კრიზისი, გადავიტანე დოლარის გაქცევა და ევროს გაკიდება, მოკლედ, ყველაფერი გმირულად გადავიტანე, მაგრამ ახლა რაც მჭირს, არასოდეს განმიცდია – ენთუზიაზმი – 0, სტიმული – 0, იმედი – მხოლოდ ღმერთის!

ვზივარ და მშვიდად ვფიქრობ, ნეტა, რა ჯანდაბა გველოდება და საკუთარ სიმშვიდეზე მეცინება. მითხარით, რომ თქვენც ასე ხართ, თუ არადა აქეთ დამამშვიდეთ.

## საფესტივალო და საკლუბო კულტურა სულს ღაფავს



კლუბ „ბასსიანის“ ხელმძღვანელის ნაჯა ორაშვილის ინფორმაციით, საფესტივალო და საკლუბო კულტურა სულს ღაფავს, რადგან სახელმწიფო მათ მიმართ გაუგონარ სადამსჯელო ღონისძიებებს ახორციელებს:

– ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის თუ ტრაგიკული მოვლენების გამო მუდმივად ვიკავებდი იმ სატკივარზე საუბრისგან თავს, რომელიც ჩვენს სფეროს და მის წარმომადგენლებს შეეხოთ, თუმცა უკვე გაუსაძლისია ის სადამსჯელო და რეპრესიული მიდგომები, რასაც სახელმწიფო საკლუბო თუ საფესტივალო კულტურის მიმართულებით ახორციელებს.

ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია ეკონომიკური საქმიანობის არამართლზომიერი შეზღუდვა, დაკისრებული ჯარიმების ოდენობა და ჩვენ გარშემო არსებული უთანასწორო გარემო.

12 მარტს, კოვიდ 19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, თბილისის საკლუბო სცენამ საკუთარი ინიციატივით ერთ-ერთმა პირველმა მიიღო დროებით დახურვის გადაწყვეტილება. საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლიან ქმედებებს უმძიმესი შედეგები მოჰყვა. 300-ზე მეტი არტისტი და 5000-ზე მეტი თანამშრომელი ყოველგვარი შემოსავლის გარეშეა დარჩენილი, 100-მდე შეკრების ადგილი კი მეიჯარეებთან შექმნილი პრობლემების გამო გაუჩინარების წინაშე დგას.

ეკონომიკურ საქმიანობაზე შეზღუდვების მოხსნის მეექვსე ეტაპზე, ჩვენ გაგვიჩნდა იმედი, რომ გარე სივრცეებში მაინც

**გაგრძელება მე-6 გვერდზე**

## ასტროპროგნოზი



**29 ივლისისთვის**

**ვერძი** – შესაფერისი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, რაც თქვენი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გარანტია იქნება. **კურო** – მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. შემოქმედებითი პოტენციალი დღეს მძლავრობს. **ტყუპები** – დაძაბული ეტაპი გაქვთ. თუ მის გადალახვას მოახერხებთ, მიზნის მიღწევაში ხელს ვეღარაფერი შეგიშლით. **კირჩხიბი** – საყიდლებზე წასვლა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ლომი** – გაიფართოვეთ ცოდნის არეალი. მოსალოდნელია ცვლილებები კარიერაში. **ქალწული** – ეს დღე პირადი ცხოვრების მოწესრიგებით დაიწყეთ. ოდნავ დაძაბული ხართ. **სასწორი** – სარისკო პროექტებში ნუ ჩაერთვებით. ასევე, არ ღირს საყიდლებზე წასვლა. **ღრიანკალი** – ემოციები აკონტროლეთ. რეკომენდებულია ფიზიკური დატვირთვა. **მშვილდოსანი** – ბედი გწყალობთ. ჩანაფიქრის რეალიზებას სულ იოლად მოახერხებთ. **თხის რქა** – დღეს მხოლოდ პირად ცხოვრებას მიხედეთ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ალკოჰოლს ერიდეთ. **მერწყული** – ძალიან დატვირთული ხართ, მაგრამ, თუ დროს სწორად გაანაწილებთ, ყველაფერს მოასწრებთ და გართობისთვისაც მოიცლით. **თევზები** – დიდია კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა. კამათში არავითარ შემთხვევაში არ ჩაერთოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ცილისწამება, მონაჭორი ვინმეს სახელის გასატეხად; 2. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 3. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 4. ნადირთა მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 5. მსჯელობის საგანი; 6. თბილი მოსასხამი; 7. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორი მხრიდან დახატული სურათი; 9. იაპონური მაფია; 13. ინდოეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 17. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მუსიკალური მისალმება; 18. ბუნებრივი წყალსაცავი.

**თარაზულად:** 1. შინაგანი ბიძგი-მისწრაფება, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას; 3. სუფრის ხელმძღვანელი; 8, თხელი ფურცლოვანი რკინა; 10. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 11. ხრახნული კონვეიერი; 12. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 14. სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი; 15. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 16. ჩეხური საავტომობილო კომპანია; 19. ჩილეს ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 20. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 21. დამჟავებული ბოსტნეული.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*